

ნება ლეპიზადი: ბიზნესმენი იქულვაჲული
არიან, პოლიტიკაში ცავილი

cpaple აგრძელება

“გადამხდელთა კავშირის წევ-
რები არიან საქართველოს ნამყა-
ნი და ლიდერი კომპანიები, რომ-
ლებიც ავსებენ საქართველოს ბი-
უჯეტის დიდ ნაწილს. გადამხ-
დელთა კავშირი არის ერთ-ერთი
სოლიდური საქველმოქმედო ორ-
განიზაცია, რომელმაც ბოლო სამი
წლის განმავლობაში ასეულ ათ-
სობით ლარის დახმარება გას-
ნი”, -ნათეჭამია გადამხდელთა კავ-
შირის ცნობარში.

“გადამხდელთა კავშირს იმდენი
ფული არა აქვს, რომ ნინასაარჩევ-
ნო პერიოდში რომელიმე პოლიტი-
კური ძალის დასაფინანსებლად გა-
იღოს. ოფიცისის შესანახად და სხვა
ხარჯების დასაფარად, ორგანიზა-
ციის წევრთა სანევრონების გარდა,
საერთაშორისო დახმარებასაც ვი-
ყენებთ”, - განაცხადა კავშირის თავ-
მჯდომარე ნიკო ლევიშვილმა გუ-
შინდიონ პრის კონფერენციაზე.

მინდელ პრესკონფერენციაზე.
ერთი რომელიმე გუნდის “ცენტ-
რალიზმებული მხარდაჭერა”, ლეკიშ-
ვილის განცხადებით, იმიტომაცაა
გამორიცხული, რომ დღეისათვის
გადამხდელთა კავშირის წევრები,
აღმასრულებელი ხელისუფლების
გარდა, საკანონმდებლო ორგანოს
სხვადასხვა ფრაქციებშიც არიან.
მომავალ საპარლამენტო არჩევნებ-

ნიკო ლეკიშვილი: "თუ შემოზრდა - ყველა შეამონა

ში ამ კავშირის დაახლოებით თხუთ-
მეტი წელი მიღები მონაწილეო-
ბას, ძირითადად, მაჟორიტარი დე-
პუტატების კანდიდატთა სტატუ-
სით. კავშირის თავმჯდომარე მიჩი-
ნევს, რომ არჩევნებში მონაწილეო-
ბის მსურველებს გამარჯვებს დი-

დი შანსები აქვთ. კონკრეტული გვა-
რების დასახელებისგან გუშინ იგი
თავს იკავებდა. გამონაკლისი თა-
ვად ლეკიშვილი და ვანო ჩხარტიშ-
ვილი აღმოჩნდნენ. ბატონმა ნიკორ-
ისედაც ცნობილი ფაქტი აღარ და-
მალა და განაცხადა, რომ თვავად ამ

„დემოკრატიას,, პროგნოზი - „საქართველოს
პრეზიდენტს ჰელი ელის,,

CPA 2020

3 აპრილს, „გაერთიანებული დე-
მოკრატების“ გორის რაიონული ორ-
განიზაციის თავმჯომარის გოგი
მჭედლიშვილის სახლში ხელყუმბა-
რის აფეთქებას „გაერთიანებული დე-
მოკრატების“ ლიდერებმა პრესკონ-
ფერენცია მიუძღვნეს. მათი განცხა-
დებით, ეს არ არის პირველი შეტახვე-
ვა და დაშინების პოლიტიკას ხელი-
სუფლება კვლავ მიმართავს სხვადას-
ხვა პარტიების მიმართ. დემოკრატები
მკაცრი ტონით საუბრობენ ხელისუფ-
ლების შესახებ და აცხადებენ, რომ ეს
ფაქტი არ დარჩება ყურადღების გა-

မြတ်ပေါ်ရန် အကျင့်ဆုံး လုပ်နည်း ပို့ဆောင်ရေး ဝန်ကြီးခွဲ မြတ်ပေါ်ရန် အကျင့်ဆုံး လုပ်နည်း ပို့ဆောင်ရေး ဝန်ကြီးခွဲ မြတ်ပေါ်ရန် အကျင့်ဆုံး လုပ်နည်း ပို့ဆောင်ရေး ဝန်ကြီးခွဲ

ბროლაურში აპირებს კენჭისყრას
ჩხარტიშვილი - ოზურგეთში.

“ნინასწარი გადახდებით სა
ხელმწიფო ბიუჯეტის შევსება
მდგომარეობას ვერ გამოასწო
რებას. ეს თანხა მაინც გადასახდე
ლი იქნება. ახლა ბიუჯეტის შესავ
სებად ისევ იმ ხალხთან მიღიან
ვინც გადასახადებს ისედაც იხდის
დამატული ფულის ამოსალებად
მუშაობას მაშინ დაიწყებენ, როცა
თანამდებობის დაკარგვის შიში
სინდრომი აღარ იარსებებს. ახლ
კი, ძირითადად, იმ ბიზნესმენების
საქმიანობის შემოწმებით არიან
დაკავებულნი, რომლებიც ყველა
ზე მეტად ჩანან; თუ შემოწმებაა
ყველა შეამოწმონ, თუ ეს ხალხი
დასაჭრია - დაიჭირონ”, - ბიზნეს
მენთა თანასწორუფლებიანობის
მომხრეა ლეკიშვილი.

"გარეთისანებული დემოკრატიას
ნინასაარჩევნო განცხადებას
აუცილებელი უპასუხეს



გორგი მჭედლიშვილი

4 აპრილს, დაახლოებით შუაღამისას
ჯერჯერობით დაუდგენელმა პირებმა
"ავტონინაზულო თამო კრატიბის" გორი

ରାଜୀନ୍ଦ୍ରନ୍ଧନ ପାଇଁ କାମ କରିବାକୁ ଅନୁରୋଧ କରିଛନ୍ତି। ଏହାର ପାଇଁ ଶ୍ରୀ ପାତ୍ର ପାଇଁ କାମ କରିବାକୁ ଅନୁରୋଧ କରିଛନ୍ତି।

ରାଜୀନ୍ଦ୍ରନ୍ଧନ ପାଇଁ କାମ କରିବାକୁ ଅନୁରୋଧ କରିଛନ୍ତି। ଏହାର ପାଇଁ ଶ୍ରୀ ପାତ୍ର ପାଇଁ କାମ କରିବାକୁ ଅନୁରୋଧ କରିଛନ୍ତି।

ორგანიზაცია და 24 ათასი გამცემიდან, აფეთქებამდე რამდენიმე საათით ადრე რეგიონული ტელეკომპანია „თრიალე-თის“ ეთერში ხელისუფლების საწინააღმდეგო განცხადება გვაკეთა. „გორის რაიონის საარჩევნო უზნებში უკვე ვალუძ-

მოხდა - მასინ ხელყუმბარ ენერგოომბანია „გორის“ გვარის მაზრისალური დირექტორის ტარიელი მაზრისმეობის საცხოვრებელი სახლის ეზოში აფეთქება. გამანავავდება - არ არის დადგენილი.

35356602!

საკაროთა რესტრუქტურიზაციის და მდგრადი დაცვის კონსულტაციების დაცვის სამსახური (CERMA)

სცხოდებს კონკურსს ფინანსურის, მარკეტინგის, ზოგად და თერიაციათა შენჯერების სპეციალისტის პირზეა კანკულტაციურის თანამდებობის დასაყვავებლათ.

დაწერილებითი ინსტანციულისათვის იხსლეთ **CERMA-ს**
რჩეულებულისათვის: www.cerma.ge საონლაინი: <თანამშრომლები>;
ტელეფონი: <ეკუამისიერი>.

საბუღების (თანხმლების წერილი და CV) მიღების ბოლო
ვადა 2003 წლის 18 აპრილი 18 სთ-მდევ. მიმართობა: აღ. ყშბგვს
42 ა, ფაქსი: (995 32) 30 77 03, ელ-ფოსტა: mailbox@cerma.ge

შენიშვნა: იმ პირთა განცხადებებს, რომელთაც
2002წლისათვის უკვე მიმართეს CERMA-ს სამუშაოზე მოწყობის
სურვილით, აღარ განვიხილავთ.



შეავსეთ აკეთა და გამოგვიგზავნეთ

2003 წლის 10 მარტი, გარეთი.

პლანი უფლება.

სახალისებრი ქადაგისას "რესტაურანტი 2" არ არის აღიარებული, გამოყენით მიღებით თუ არა მოსახლეობა მათთვის "სასახლის აღიარება". თავისი პრეზიდენტი ვაჟა-ფშაველა გვალიშვილის მიერ-აღიარების არასრული მიღებით მისახლები შესას "სასახლის აღიარება" მიღება და მიღებას.

აცემა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოიტანეთ მისამართზე:

სამაუწყებლო კომისია "რესტაურანტი 2",
ტელეფონი ვაჟა-ფშაველას 45, 300077 თბილისი

კონკურსის და გვარი

ოჯახური მდგრადი:

დაქორწინებული, დაუძრინებელი, გაყიდვი, ევრივი

მისამართი:

შვილები: (მა ავავ)

საზოსტო იდეასი:

განათლება:

საუკუნო, უმაღლესი, ტექნიკური

საკონტაქტო ტელეფონის ნომრები:

აროვისა:

ასაკი:

საშუალო ადგილი

დამატებითი კატეგორია: (მომიმდინარე, რომელიც არ არის მომიმდინარე, გვალიშვილი არის მომიმდინარე, მაგრამ არ არის მომიმდინარე, არ არის მომიმდინარე, არ არის მომიმდინარე, და ა.შ.)

შინაგანი ცხოველები: (მა ავავ)

თქვენი ინტერესები და პოპი:

შესვებისართ თუ არა, პირადად, ცოდნილ ადამიანს? ვის, სად და როდის?

გიყვარი თუ არა მოშზურობა? (მა გიყვარისა სახალისებრის გარეთ და აღდენის გარეთ)

არჩევანი რომ გეოგრაფიული როგორ ცენტრი ადამიანთან
ისერვიციით ვისვერას, სად ცავიდობით?

არჩევანი რომ გეოგრაფიული ცავიდობით სამომზადოდ და
რაოდ?

რომ შეგებლობი მეოლოდ ერთი რამის შეცვლა საუკუნო
გარემონტასა ან სასიათო, რას შეცვლილი და რაოდ?

გაძვი თუ არა მიზანი, რომლის მიღებაზეც როცეობოდა?

რომ შეგებლობი მეოლოდ ერთი ნატორის ასრულება, რას
ინციდენტი და რაოდ?

მიგიდავით ან გამიკეთებით თუ არა ისეთი რამ, რითაც
არამოგი?

თქვენ აზრით, რომელ ზღვარის პირსონაში პირადი
ყველაზე გათავს და რაოდ?

გაძვი ან გეოგრაფიული ნიში?


ფილატ რომ გადაეღოთ თქვენი, რომელი ცენტრი მსახიობი
შესრულებდა თქვენს როლს?

გაძვი ან უჩვეულო ნიში?

შევლაზე უცნობელი სიტუაცია თქვენს ცხოველები:

უჩვეულო ან საიდეალურო რამ თუ გადამზადებით თავს?
კერძოდ რა?

შევლაზე ცენტრი საშუალო თქვენს ცხოველები:



გთხოვთ, დააკრათ ახლანდებლი ფოტოსურათის, სასურ-
ველის ზომით 3/4, თუ ამ ზომის ფოტოსურათი არ
გაქვთ, შეგიძლიათ დააკრათ ნებისმიერი ზომის, რო-
მელიც შემოლოდ თქვენ სართ გადალებული. ფოტო-
სურათის სახე გრუვებით უნდა ჩანდეს. გთხოვთ, ფო-
ტოსურათს უკან მიაწეროთ თქვენი სახელი და გვარი.

როგორ გაატარებთ თქვენს იდეალურ დასვენების დღეს?

რომელი სატელევიზიო გადაცემი მოგონით და რაოდ?

რომელი თქვენ საყვარელი მორალი და საყვარელი
ლიტერატურული ნადაროები?


როგორი მასისა გითაცები და თავად გაპვი თუ არა
მესიპალური ნიში?

რა ზარის ფილატი მოგონით და რომელია თქვენ
საყვარელი ფილატი?

გამოსულებართ თუ არა ტელევიზიონი? (მა კონკურსის და აღმართის?)

რატომ გინდათ მიღორით მონაცილეობა ჩვენს თავაზში?

დღეს რომ მოგვია 2000 ლარი, რას გააკეთობდეთ?



როგორ პარადოქსულადაც
არ უნდა ჟღერდეს, რუსეთის
იმპერიაშ თავისი იმპერიული
მმართველობის დროს,
განსხვავებით დამოუკიდებელი
საქართველოს დღევანდელი
ხელისუფალისაგან, თბილის
არ აკადრა დაენიშნა ქალაქის
თავი და დაუშვა თბილისის
აღმასრულებელი
ხელისუფლების მეთაურის
არჩევნები.

1875 წელს პირველად
თბილისმა ქალაქის თავად
აირჩია დიმიტრი ყიფიანი.

გაზეთ „24 საათის“ დამატება
„დედაქალაქი“ კვლავაც მოელი
სიმძაფრით ეცდება გააღვივოს
თვითმმართველობის
არჩევნების თემა და აიძულოს
საქართველოს ხელისუფლება
დაუბრუნოს თბილისის
მოსახლეობას
კონსტიტუციური უფლება -
აირჩიოს დედაქალაქის მერი.

ԱՅԵՒԹԵԱՆ, ԹՔՈՎՈՎԱՅՐ

ადამიანებისთვის ისტორიული გარემო ცხოვრების აღგილსაშეოფალი

საუბრობენ დიმიტრი თუმანიშვილი და ნიკოლოზ ვაჩეიშვილი

არც საპატრონო ჭირდა რამე გან-
საკუთრებული და არც იმის ხიფა-
თი ჩანდა თითქოს, მას განადგურე-
ბა დამუქრებოდა. მაგრამ როდეს-
აც ამ განაშენინებასაც “დაუძლუ-
რება” შეეპარა (ქალაქის ხელისუფ-
ლებისგან განზრახი უყურადღებო-
ბის შედევრა - ასე მითხრა ერთხელ
ირ. ციცილშეიღმა) და დააქციეს სახ-
ლები თავისუფლების (მაშინდელ
ლენინის) მოედნის კუთხეში, ა. ზა-
ლცმანის აგებული მშვენიერი შე-
ნობა გ. ტაბიძის ქუჩაზე, მოჯვენი-
ტეს “ზემელის” სახლი ისტორიულ
აფთიაქიანად, ნათელი შეიქმნა -
1870-1920-იანი წლების ნაგებობე-
ბის მოსახლეობაც აუნაზღაურებელი
დანაკლისი რომაა.

და მაინც, რატომ? მე არ ვიცი,
რანაირად, რა სიტყვებით და რა სა-
შუალებებით შეიძლება გააგებინო
რისამე, კერძოდ თბილისის სილა-
მაზე, იმას, ვინც მას თვალები დაუ-
სუჭა. ამიტომ უფრო თვალნათლ-
ივს, ჩვენი ქალაქის თავისებურება-
ინდივიდუალობას მივაჟციოთ ყუ-
რადღება - ამაში, ვგონებ, არავის
არასდროს შეუტანია ეჭვი. მაგრამ,
“საკუთარი სახე” ერთგვარ მთლია-
ნობას გულისხმობს. და არის კია
მთლიანი თბილისი ორთაჭალა -
“გოგირდის აბანო” - დან ვარაზისე-
ვ - 6. ფიროსმანაშვილის ქუჩამ-
დე? განა XIX საუკუნის განაშენია-
ნება გეომეტრიულად გაცილებით
მოწესრიგებული და სართულიანო-
ბამომატებული არ არის? განა
1880-იანი წლებიდან ნაგებობათა
ფასადები ზოგად-ევროპული ეკ-
ლექტიზმისა თუ “მოდერნის” ყაი-
დისა არა? რასაკვირველია! ამას
კი - და ამჟამად ეს ჩინებულადა
დასაბუთებული (არ შემიძლია აქაც
არ გავიმეორო სხვა წერილში უკვე
დამოწმებული სახელები) გიორგი
მარჯანიშვილის დიდად საყურა-
დღებო წერილებში, გიორგი ბერიძ-

და ეროვნების - გინდა გერმანელს, გინდა კანადელს, გინდა მალტელ ექსპერტს შეპარვია ეჭვი, ეს რომ ასე უნდა იყოს, ერთსაც არ გასჩენია რისამე “ჩამოკლების” სურვილი. განა სამწუხარო არაა, რომ რუსეთის იმპერიის ბატონობისას უცხოტომელმა, ხშირად სხვაგნით ჩამოსულმა ხუროთმოძღვრებმა მოახერხეს ქალაქის ზრდის ბუნებრიობა და უწყვეტობა შეენარჩუნებინათ, რაც არ ისურვეს ქართველმა, საქართველოში აღზრდილ-ნასანავლმა არქიტექტორებმა? განა ასევე სავალალო არ არის ისიც, უცხოელი ხედავდეს მის მხატვრულ-კომპოზიციურ ერთიანობას, რომლის დანახვა არ სურს მრავალჩვენებურს?

ნიკოლოზ ვაჩიევილი:-არქიტექტორთა წრეში დღეს ხშირად გაიგონებთ ნათქვამს - “თბილისს ისტორიულ უბნებში მასშტაბის ცვლილება გარდაუვალია, ძველი უბნების განახლებისთვის ინვესტიციის შეუცვლელი მახასიათებელი კი ძეველის ნგრევა და ახლის განსხვავებული მასშტაბით განხორციელებაა” (?!). ძველი თბილისისა და ქალაქის ცენტრის ორ, სამ და ოთხსართული-ანი განაშენიანება მათვების შესაფერი სიგანის ქუჩებზე თბილისისათვის დამახასიათებელ მრავალფეროვან რელიეფზე ვითარდება. ქუჩა, ნაგებობები და ბუნებრივი გარემო ერთმანეთისგან განუყოფელ, “ზომიერ” პრინციპის დაქვემდებარებულ ერთიანობას იძლევა, სადაც ამ ერთიანობის შემადგენელი ყველა კომპონენტი ბუნებრივად ეფარდება ერთმანეთს. თბილისი ამის გამო ქალაქი კი არა გარშემო ლანდშაფტური ნაკრძალით, არამედ ლანდშაფტში ორგანულად ჩართული ქალაქებებმარებითი სტრუქტურა. ამ ერთიანობაში მრავალფეროვან გარემოსთან “ზომიერ

კაცი, მთანმინდაზე - უკვე ამომართულია მრავალსართულიანი ბეტონის მოცულობები. მათში მოქმედულ ბინძუში მყიდველებიც ჯერჯერობით სიხარულით მოისწრაფიან, რადგან აქ ეგულებათ არქიტექტურისა და ლანდშაფტის შერწყმით გამოხატული ლამაზი ხედები, ქუჩების სიმუშადროვე, მოსახლეებს შორის "ცოცხალი ურთიერთობებიც". მაგრამ ცოტა თუ ითვალისწინებს, თუ რა ბედი ელის ქალაქის ამ უბნებს ახლადაშენებული მათსავით სახლების მოჩრავებისას: მანქანებით გაჭედილი ქუჩები, სახლებთან მათი გაჩერების შეუძლებლობა (სტუმრებისა თუ საკუთარი მანქანების სარდაფში ჩაყვანა-ამოყვანა შინ ყოველი მისვლისას ცხოვრების პირობების ვერაფერი გაუმჯობესება!), პერის ნაკლებობა და მაცხოვრებელთა სიმჭიდროვით გამონვეული მუდმივი ხმაური, გაშლილი ხედების ნაცვლად მათნაირივე კორპუსს სულ რამდენიმე მეტრში, "ქუჩა-ჭის" პირობებში მზის ნაკლებობაც. ამგვარად, მასშტაბის ცვლაზე საუბარი ყველაზე მთავრის - ქალაქის განუმეორებლობის გაქრობის მთავარი პირობაა. მაშინ რავენათ, "მივატოვოთ" ძველი უბნები და მკვდარ სამუზეუმო ზონად გამოვაცხადოთ, სადაც სახლები ნებანელა თავად დაინგრევა? ამგვარი საშიროების შესახებ გვაფრთხილებენ არქიტექტორები, რომლებიც ინვესტირების მთავარ და რატომლაც გარდაუვალ პირობად ძველი სახლების მრავალსართულიანით შეცვლას სახავენ, თითქოს სადაც "დიდი ფულია" იქ სახლიც "დიდი" უნდა იყოს. ვინც იცნობს ევროპის მცირე თუ დიდი ქალაქების ისტორიული, ყველაზე პრესტიული და საცხოვრებლად ყველაზე ძვირადღირებული ცენტრალური უბნების არქიტექტურას. ან

ზინაში დამკვიდრებული მობინადრე ცი სულ მალე თავს მოტყუებულად იგრძნობას - პრესტიულ უბანში გა- დმოსახლებული, იგი მომხიბლავი კარგმოდან იზოლირებული, და მძი- მე ყოფით პირობებს შეჯახებული აღმოჩნდება - ძველი უბნების თუნდ- აც კომუნიკაციებიც კი ხომ სრულე- ბითაც არაა გათვლილი ამხელა დატ- ვიროვაზე. არადა, თუკი სახელმწი- უო ისტორიული უბნების დაცვას თავის მოვალეობად თვლის, ვაღლე- ბულიცაა არა ძველის ნგრევითა და უცხო ახლის დამკვიდრების წახალი- აებით მიუდგეს საქმეს, არამედ იზ- რუნოს მესაკუთრეთა გრძელვადია- ნი სესხების უზრუნველსაყოფად თუ- მათა სხვა უბნებში დაბინავების შემ- დეგ, ნაგებობათა განსხვავებული ცუნქციონ მომგებიად გადაქცევი- ათვის - თბილისის განუმეორებლო- ბის ერთეულთა კომერციული მიზ- ების გამო განირვა, დანაშაულია არა თუ მხოლოდ ქართველი, მართ- ლიონ საზოგადოების წინაშეც.

აქ კვლავ ქალაქებებმარებით სა- კითხებს ვადგებდთ. თბილისის ცენ- ტრში ისეთი შთაბეჭდილებაა, თითქ- მო მთელი საქართველოს სახელმწი- უო მექანიზმი მხოლოდ აქ იყრის თავს. აქაა მთავრობა, აქაა წამყვანი აავაჭრო იპიქქები, ადმინისტრა- ცია, მსხვილი კულტურული და საგა- დმანათლებლო ცენტრები, რასაც სა- კხოვრებელი ფუნქციის ელვისებუ- რი ზრდა ემატება. თავი რომ დავანე- ბოთ ქალაქის ისტორიულ უბანს, ვა- კეცი კი - მაგალითად, ყიფიძისის ქუჩაზე, მიჯრით მიწყობილ ათ და თორმეტსართულიანი სახლების გა- რემონტი, სულ მალე მშვიდი ცხო- ვრება შეუძლებელი იქნება. ამგვარ- და, თვით იდეა ერთი ქალაქის ერთ კენტრში იყოს ყველაფერი თავმოყ- რილი - ქალაქისათვის დამღუპე- ლია. ამიტომაც თბილისში მუდამ პი- კის საათია (და ეს მხოლოდ დასაწყი-



ରାଜ୍ୟର ପାଇଁ କାମ କରିବାକୁ ଅନୁରୋଧ କରିଛି ।

რებელნიც. ესაა, უპირველეს ყოვლისა, იმნაირივე მიმართება ბუნებითი გარემოსადმი, შემაღლებულზე მდგარ დომინანტებზე “სწორება”, ადამიანის თანაზომიერება, იმავე რიგის ყოფას დამორჩილებული შიდა გეგმარება (პირველყოვლისა, ეზოვებით ჩენილი, რომელთაც ახლა, კაცმა არ იცის რატომ, “იტალიურებად” მოიხსენიებენ).. ამ ნიშნების გამოა, რომ ვთქვათ, პეთლების ქუჩით სოლოლაპში გადმოსული და მერე მთა-მთა კ. კეველიძის ქუჩამდე მისული ადამიანის ხვაობას კი ხედავს (მაგრამ, ვთქვათ, ისანი-კლდისუბანი კი არის ერთნაირი?), ხოლო, წყვეტილს, განწყობის პრინციპულ შეცვლას - არანაირად. ამასვე, რასაკვირველია, ვერ ვიტყვით საბჭოური ხანის

ს კიდევ ერთი საკითხის თაობაზე. ოველივე ის, რაც ზემოთ დახასიათდა, მართლაც “განვითარების”, მომავლის”, “გარდაუვალობის” ახელით კეთდება. არაფერს ვიტყო იმაზე, რომ მთლად მისალებირა სასუბარი “გარდაუვალობაზე”, ორდესაც საქმე ჩვენი, ადამიანების რჩევანსა და გადაწყვეტილებას ხება. ვის შეუძლია, მართლაც, ვაიძულოს რაღაც ავაშენოთ და აინცდამაინც ასე ავაშენოთ, თუკი მას არ ვისურვებთ? არქიტექტურა რ გახლავთ ბუნების ნაყოფი, შეობები არც ბურქებია და არც სოფები, ჩვენდაუნებურად რომ აღოცენდნებ. “მომავლისმიერი” და-აბუთებაც ვერ მაჯერებს - ვის შეეძლია დაიკვეხნოს, მყოფადი ვი-კიონ და, თუ ასეა, რა აზრი აქვს სა-უთარი ნარმონასახის არგუმენტ-დ მოტანას? ერთი კი, რასაკვირვე-ლია, სწორია: ცხოვრება სახეს იცვ-ლის და უცვალებელი ვერც ნაშენი არემოცვა დარჩება. საქმე ისაა ხოლოდ, როგორ ნარმოგვიდგება ს “განვითარება”? როდესაც მემკ-იდრეობის დამცველთ გვედავები-ნ, ორ რასმე ნამოგვაძახებენ ხო-ლმე - ძველი ნაშენების მოუნცობ-ლობას თანამედროვე ყოფისათვის ა ყოველივე ახლის მიუღებლობ-ს. არ ვიცი, ვინ და როდის თქვა, ველი უბნების მაცხოვრებლები წყლოდ, უსაპირფარებლოდ, უაბა-ანოდ და ა.შ. ვამყოფოთ. პირიქ- ი, სწორედ ხელოვნებათმცოდნეე- ისა და რესტავრატორების წრეში რველოთვის ნატრულობდნენ, რაც ეიძლება მეტი ისტორიული ნაგე- ობის ადაპტირებას, დაეძებდნენ მ ხერხებს, რომლებითაც სხვაგან გვარებენ ამგვარ სირთულეებს. ბეჭდურება ის იყო მხოლოდ - და ვლავაც არის! - რომ ჩვენ ძალზე შვიათად გვეძლეოდა საშუალება მ რიგის სამუშაოები განხორციე- ბულიყო. ერთი შეხედვით, უფ- რის ძნელია მეორე საყვედურს შეე- ასუხო. მართლაც, რაკე ვლაპარა- ობთ ისტორიულად ქმნილის პა- ივდებაზე, ძველისთვის მუდმივად ნგარიშის განევაზე მის სიახლოვ- ს ახლის გაჩენისას, განა ამით არ ზღუდდება ახლანდელი ადამიანის ემოქმედება? ისევ და ისევ - გააჩი- ია “ქმნასა” და “ახლის ქმნას” რო- მორ გავიგებთ. საესხვით ცხადია, ა აზრს დებენ ამ სიტყვაში ჩვენი იდავენი. მათვის “შემოქმედე-ა”, უნინარესად, ნიშნავს “დაუნ- იობელს ნგრევას ძველისას” ასეთი ააზრება სრულიად გარკვეული

1 5 2 4

დევნის მიერ გამოიყენებოდა, რომელთაც, ნანილობრივ არცოუ ზუსტად, „მონინავედა“ თუ „ცივილიზაციულად“ მოიხსნიერენ, რომელთაც მრვავედი წევნიეს ზემოდასახელებული განწყობა. მოვიტან რამდენიმე ნაწყვეტს გავლენიანი გაერთიანების „ინგლისური მემკვიდრეობა“ მიერ მომზადებული წიგნიდან „ძალმოსილება სამყოფელისა“, (Power of Place, ლონდონი, 2000), რომელიც სახელმძღვანელოდ მიიღო დიდი პრიტანეთის კულტურის სამინისტრომ და გაიზიარა მსოფლიოს არაერთმა სახელმწიფომ.

ა) „ადამიანთა უმრავლესობა ისტორიულ გარემოს განუყოფელ ერთიანობად ხდებას. ისინი თავის ადგილსამყოფელს აფასებენ და არა ცალკეული ადგილებისა თუ შენობების წყებას. ადამიანების საზრუნვავი მათი გარემოს მთლიანობაა. ეს ზემოქმედებს იმაზე, თუ რას და რაგვარად ვანიჭებთ ჩვენ მნიშვნელობას“ (გვ. 1).

ბ) „ისტორიული გარემო ისაა, რადაც ადამიანებმა თავისი ადგილსამყოფელი აქციებს... ჩვენ ვართ ამ მემკვიდრეობის მეურვეები. იგი, ყველა აზრით, საზოგადო სიმდიდრეა. ყოველი თაობა მას თავის კვალს ამჩნევს და ყოველი მათგანი იღებს გადაწყვეტილებას თუ როგორ იქმნება მომავალი ნამემკვიდრევ კონტექსტში. ეს კონტექსტი შეუცვლადია. ერთხელ განადგურებული, იგი სამუდამოდ დაკარგულია“.

გ) „ადამიანთა უმრავლესობისთვის ისტორიული გარემო მათი ცხოვრების სამყოფელია. იგი მათთვის მისგან მონიჭებული ცხოვრების ხარისხის გამოა ფასეული. სხვათათვის იგი სამყოფელია, რომელსაც ესტუმრებიან ხოლმე და მისი ფასეულობა მისგან მიღებული შთაგონებითა და შვებით განი-

დ) "მომაგალი უთუო მოცემულობა როდია. უკანასკნელი 50 წლის განმავლობაში განვითარება უპირატესად უგულებელყოფდა ან თელავდა დაბა-ქალაქებისა თუ სოფლების კონტექსტს. სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკა ნაკლებად ითვალისწინებდა, თუ როგორ იმოქმედებდა ის სასოფლო ლანდშაფტზე. ახალი სატრანსპორტო კვანძები ანადგურებდნენ სოფლის სიმყუდროვეს, რადგან თვით მოძრაობაცა და მასზე კონტროლის ღონისძიებებიც მეტად აზარალებდნენ ისტორიული ქალაქებისა და დასოფლების იერს, ამდენად კი, მათში მცხოვრები ადამიანების ცხოვრების ხარისხს" (გვ. 4-5).


ე) "უწყვეტობის განცდა ახალი იდეებს როდი აფერებს - სწორედ რომ პირიქით. რაც უფრო ღრმაა ფესვი, მით უფრო მეტს კვებავს იგი. თუ ამა თუ იმ სანახების ახლად განვითარება მათი რაგვარობითაა შთაგონებული, მაშინ ის იმ ერთადერთობას იტევს, რომელიც ადამიანებს მაშინაც იზიდავს, ახალი ნაგებობები რომ გადიგნიასებს." (ქით უილკი; გვ. 5).

ვ) "ჩვენ უკეთ უნდა გვესმოდეს გარემოს ხასიათი და ის ლირებულება და მნიშვნელობა, რასაც მას ადამიანები აძლევვნ. თავი და თავი ხასიათის შეჯასებაა. იგი შეიძლება სხვადასხვა მოცულობისა იყოს, მთელ რეგიონს, ანდა მცირე დასაცავ არეს მიემართებოდეს, შენობასა ან ისტორიულ ბაღს. ის გვაწვდის ინფორმაციას, რომელიც საშუალებას გვაძლევს გავაუმჯობესოთ და უფრო შემოქმედებითი გავხადოთ სივრცითი გეგმარება მისა მთლიანობაში" (გვ. 5).

ზ) კარგი ახალი პროექტი სამომავლოდ დიდებულ ისტორიულ გარემოს ქმნის... გარემოს გასაუმ

კულტურული გამოყენება, მიუხედავად იმისა, რომ ეს მასალა მშენებლობას ოთხჯერ აძვირებს. ვისაც ამის "აწევა" არ შეუძლია, კეთილი ინებოს და ნურც აშენებს. მაგრამ იქ აზრადაც არავის მოსდის განსაზღვრული და აუცილებელი გზიდან გადაუხვოს - მათი უძველესი თუ უთანამედროვესი (ძალიან მდიდარი მოქალაქეებისა) არქიტექტურა საერთო სახვითობასა დაქვემდებარებული. ქალაქის ეს "შეუბლალაობა" კი ტურისტული შემოსავლის წყაროც გახლავთ. ასეა სხვა ქვეყნებშიც, მაგალითად, გერმანიის ისტორიული ქალაქების ცენტრებში, უბრალოდ, განსაზღვრულია მოხმარებული პროფილებისა და საფასადო დეკორის ვარიანტები. ის, რაც ჩვენში შეზღუდვად მიაჩნიათ, დასავლეთში სახელმწიფო კანონმდებლობის საყოველთაო გაზიარებით რეგულირდება. ასე უნდა დამკვიდრდეს ჩვენშიც, მაგალითად, თუ ინვესტორი აშენებს სახლს ქალაქის ისტორიულ მონაკვეთში, მან უნდა იცოდეს, რომ უკვე ასეთი საპასუხისმგებლო არჩევანი მას მთელ რიგ მოვალეობებს აკისრებს. თუ ასეთი მოვალეობა საძნელოა, ასპარეზი ახალ უპნებში ჩნდება. აქედან - სასურველი ბალანსი მოვლილ ცენტრსა და განვითარებულ პერიფერიას შორის, განსხვავებით საქართველოსგან, სადაც პერიფერიაში ყველაფერი "გაყინულა", გაჩენილი სახსრები კი ცენტრს აჩანაგებს. აქ მე დასავლურ გამოცდილებაზე ვსაუბრობ, სადაც ისტორიულ მონაკვეთებში ახლის მხატვრული სახე ძველთან დასახლოებლად ძირითად პარამეტრებში კანონითაც რეგულირდება. თბილისში კი ფასადთა დეტალების განსაზღვრულობა კი არა, მთელი უნდებართვო კვარტლების აძრებითა და ტელევიზითით ფართო რეკლამირება ხდება.

ტტესაგან, ებე-
ომა სრულიად
პროცესით ას



1961) სადაც ის ხოტბას ასხამს ძველი ქართველი დროისა და კულტურის ძალის განვითარებისა და გა-

ინბურგში და სხვაგანაც ჩაატარა ამგვარი კვლევები, რასაც "პოლისტიკა" (ქალაქების მეცნიერება) უწოდა. ჰოვარდს უძლისეულ მოძრაობაში ჩაწერილი მისი ნაშრომი "ქალაქები ევოლუცია-ში" (1915) ძალზე გავლენიანი აღმოჩნდა ურბანიზმის მეთოდოლოგიისათვის. მასში გამომზეურებული იყო ცერდას მივიწყებული პრინციპები.

პარალელურად საფრანგეთში მარსელ პოეტიმ (1866-1950) დააარსა ისტორიის, გეოგრაფიისა და ურბანული ეკონომიკის ინსტიტუტი (1916), რომელიც 1924 წელს გადაიქცა პარიზის უნივერსიტეტის ურბანიზმის ინსტიტუტად. ის პარიზის ისტორიისა და ცენტრალურისტიკის, რომელიც ცნობილი

ხდება თავისი ღრმა კვლევის გამო, სადაც ქალაქს მოიაზრებს როგორც ცოცხალ ორგანიზმს თავის ლანდშაფტით, მოსახლეობითა და ეკონომიკით.

ლუის მამულოდი (1895-1990), ქალაქის ისტორიკოსი, თავს გედეგის მიმდევრად თვლიდა. ის უპირატესობას ანიჭებდა კულტურულ მოდგომას (ქალაქების კულტურა, 1934-1961) და ფუნქციულს საზოგადოებრივ მეცნიერებებსა და ტექნიკაზე. მან თავისი ხედვა განავითარა მრავალ ნაშრომში, პედაგოგიურ მოღვაწეობასა და ურბანული ანალიზის პრაქტიკაში.

ეს მოძრაობა, კულტურალისტური

ედ გავრცობილ პარკებს, ზონირებას
ქალაქ-სატელიტებს; **კევინ ლინჩი**
(არქიტექტორისა, რომელმაც განავით
თარა ქალაქის აღქმისა და ხედვის
კონცეფცია) „ქალაქის იმიჯი“ 1960
ჰენრი ლაბორიტის (ბიოლოგი, რო
მელიც ხსნის ადამიანის ქცევას ურ
ბანულ გარემოში) „ქალაქი და ადამი

თუმცა, ეს ორი ავტორი, ჰოვარდ

და სიტტე, ძალზე განსხვავდებია
ერთმანეთისაგან, შესაძლოა რამო
დენიმე საერთო ხაზის მოძებნა, რომ
ლებიც კულტურალისტული პრეურ
ბანიზმიდან მომდინარეობენ. პირველ
რიგში, კულტურალისტები ინტერეს
დებიან ქალაქით თავის მთლიანობა

ში. კულტურული კონცეფცია მატერიალურობის მაღალი და გასა კულტურული მოძევითი პასეისტურია ნოსტალგიით გამსტვალული სიტყვეს პუგინისა თუ რასკინის ნაშრომებში და მებრძოლი სოციალიზმით მორი სისა თუ ჰოვარდის ნაშრომებში პროგრესისტების სანინაალდეგოდ ტექნიკისა და მოთხოვნილების ევოლუცია არ არის მათი ანალიზების ცენტრში. დრო სტაბილური და მიბრუნებადი ცნებაა. ესთეტური ხედვა გამოიხატება ძირითადად, ისტორიული მემკვიდრეობით გადმოცემული ურბანული ფორმებით. პროგრესისტების სწორობა

უპირველესად, დაკომპლექტებულ
ნაგებობებით, ქუჩებით და მოედნებით,
ანუ ძირითადი ელემენტებით.
რომლებიც უზრუნველყოფენ ურთი-
ერთობას ადამიანსა და შენობებს შორის.
ნაგებობასა და გზას შორის უკარი-
თოვთ ასეთი ურთიერთობა, რომელიც ა-
სრულდება მარტინ ლინკის მიერ და-
წერილი არა ურთიერთობის მიხედვით.

କୁଣ୍ଡଳ ତାଙ୍କରୁକୁ ଦେଖିଲୁ ପାଇଁ କୁଣ୍ଡଳ କୁଣ୍ଡଳ
ତୁରାଳିଲୁକୁବେଳୁ ଏହି କୁଣ୍ଡଳ କୁଣ୍ଡଳ କୁଣ୍ଡଳ
ନାମଦ୍ୱାରି ମନକରାନ୍ତାରୀ ହାମନ୍ତାଲିବେଳୁ
ଥିଲା.

କୁଣ୍ଡଳତୁରାଳିଲୁକୁବେଳୁ-ତର୍ମାର୍ଗସ୍ଥାନ

କୁଣ୍ଡଳ କୁଣ୍ଡଳିଲୁକୁବେଳୁ ଲାଭିତେବେଳୁ - ରାଜୀନାଥ
କୁଣ୍ଡଳ କୁଣ୍ଡଳିଲୁକୁବେଳୁ ଲାଭିତେବେଳୁ - ଶର୍ମିଷ୍ଠାନ
କୁଣ୍ଡଳ କୁଣ୍ଡଳିଲୁକୁବେଳୁ ଲାଭିତେବେଳୁ - କର୍ଣ୍ଣାନାଥ
କୁଣ୍ଡଳ କୁଣ୍ଡଳିଲୁକୁବେଳୁ ଲାଭିତେବେଳୁ - କର୍ଣ୍ଣାନାଥ

ლი. მისი იდეები განხორციელდა ჰენრი სეილერის მიერ 1930 წელს აშენებული ქალაქის ბაღის მშენებლობით.

ზოგიერთი მოდერნისტული მოძრაობის ფლაგმანი, როგორც მაგალითად, ლ. ჰიბელსმეიერი, ალვარ აალტო ან ს. ვან ეესტერენი იყავებდა პოზიციებს და ახორციელებდა პროექტებს, რომელიც კულტურულისტების ჰუმანისტური მიდგომით იყვნენ გამსჭვალულები და აპსტრაქტულ გეომეტრიულ წესრიგს უარყოფნენ.

მეორე მხრივ, ჰიგარდი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ჰიგიენას და მისი ქალაქების სქემა ფურიერისტულ მიდგომას ეყრდნობა, თუმცა ქალაქი-ბაღის ფორმები შორის არიან ფალანს-ტერის ფორმებისაგან.

მარქსისტული მოძრაობა დიდი ხნის განმავლობაში არ ინტერესდებოდა ურბანიზმით (გარდა საბჭოთა კავშირის ორ მსოფლიო ოშს შორს). მხოლოდ ანრი ლეფევრისა („ურბანული რევოლუცია“, 1970) და მანუელ კასტელის („ურბანული საკითხი“, 1972) ნამუშევრებში ჩანს დაინტერესება საგნით, თუმცა, როგორც მარქსი და ენგელსი, მათი კრიტიკაც ყოველგვარი შემოთავაზების გარეშე რჩება.

မရာဇာလှ "တိုက်နိုင်စဖူးဗျာ" ပြန်ကျော်
ထို (ဟော့သာရွှေ ဖူးဖူးဆူးသာնာ, အ.မာစီမံနှုန်း၊
အ.အုပ်ဖူးကိုပောင်းထာ.အ.မ.) မာရတာလှေ၊ ဂာ-
မ်စွဲသာလွှဲလှ ပွဲများ တိုက်နိုင်စဖူးဗျာ မြတ်
လွှာရန်စိမိတ်၊ မာဂ်ရာမ မာင်ပါ အရ ရှေ့ပြာသ-

იაზულ მომოქანაბა, იას იედევეგად მოკ-
ყვა ფრენკ-ლიოდ რაიტის შემოთავა-
ზებები (1863-1959). ეს ჩანს როგორც
მის არქიტექტურულ ნაშრომებში, ას-

ევე ნანერებშიც (“ქალაქი რომელიც ქრება”, 1932, “საცხოვრებელი ქალაქი”, 1958). ინდუსტრიული ქალაქის კრიტიკის შემდგომ, რომელმაც ურბანიზაცია გაუკეთა მოქალაქეს ბუ-

კუთარი სახლების საშუალებით (1.6 ჰა პარსელები), რათა ხელი შეუწყოს დასვენებასა და რეკრეაციას. საქმიანობითი შესაძლოა იყონი აგრძოლება.

Յունայի պատմութեան, սկզբան քաօքայլույթ-
ն ան Ֆեյջացոյեանունու, ըստ մրացալ-
ցըրոցան Ֆեյսածլեածլոնեան ունցա
Քրանսպորտիսա դա Կոմինորուացոյեօնիս
Երանականաթունութ; Առաջնորուաց մրացալս պ
ու ճանապարհութ անուշեան, լան-
դժագութ դա Գրանցրացույղու մրացա-
լուցըրոցնեան "Արքութեակլուրա Շանեած-
ան սնադա ոյս այլ մայզեամբարեալու".
Հանգու յըրգնուն է Տրոցրուսիս գրա-
(Ցրոցրուսիս ան Մայզեանու համենա) դա
Կալութեարանուսիտու (Ոնցութեամբար,
որցանունուն) Յոցուրու լուրջեալու-



24

აშობის

D

"რკინის
რევიზორისაბის"
დიაფი
დაბრუნება

D2

რა უნდა
იცოდას
აპციონერმა?

D4

რით იზიდავს
და აფრთხობს
საქართველო
უცხოელ
ინვესტორას

D5

იმჟირნალ კაფე:
მოდა თუ
მოგახდიან
ბიზნესი
თბილისში

D6

"მადინის
ცხელება"

D7

რონალდ კონაზი
- ნობალის
პრემიის
ლაურეატი
ეკონომიკაში

D9

გლობალიზაცია,
უთანასწორობა
და საქართველო

D11

იაპონიის
ეკონომიკური
ციხა-ცხელების
გაკვეთილები

D12

შვედეთი:
გაკოტრიაზული
სამოთხო


D13

არატრადიციული
ორიენტაციიდან
ვირად
ვიგივნამდე

D15

მცირეოდან
სტატისტიკა
საათების
შესახებ

D16



D12

REUTERS

ჭობეჭ სტიგლიცი

"რკინის რევიზორობის" ლიაფი ლაპანება

მსოფლიოს "დიდი ოთხეული" და მათი ქართველი მეგობრები

საბჭოთა ყაიდის "რკინის" ადამიანები – რევიზორები, პოსტსაბჭოურ პერიოდში დასავლური ყაიდის აუდიტორებად გადაკეთდნენ. დასავლეთში მეწარმეებს მათ ხსენებაზე, ჯერჯერობით, არ აკანკალებთ: იქ აუდიტი – ნებაყოფლობითია. თუმცა, მსოფლიოში შეინიშნება აუდიტორთა საქმიანობის გამკაცრების ტენდენცია. რიგი ქვეყნებისა კომერციულ სტრუქტურებს აუდიტორთა დასკვნებს უკვე სისტემატურად სთხოვენ. შედარებით ლიბერალური საგადასახადო რეჟიმების მქონე ქვეყნები კი ბოლო დროს ცდილობენ, ისეთი გარემო შექმნან, სადაც აუდიტორთა სტაბილური ზედამხედველობის გარეშე მცირე ბიზნესის წარმოებაც კი შეუძლებელი იქნება.

CPA&CNC 2020

აუდიტორთა საქმიანობა
ერთ-ერთი ყველაზე შემოსავ-
ლიანი ბიზნესია. ამ ბიზნესის
უმთავრესი თავისებურება კი
ისაა, რომ აუდიტორებს, როგ-
ორც წესი, სხვა საქმიანობის
უფლება არა აქვთ. თუმცა, ეს
ხელს არ უშლის მათ, რომ მსოფლიოს
უმდიდრეს კომპანიათა
ნუსხაში წამყვანი ადგილები და-
იკავონ.

დღეს მსოფლიოს აუდიტორული ფირმების ლიდერთა ნუსხას "დიდი ოთხეული": "ქეი-ფი-ემ-ჯი", "პრაის უოთერპაუს კუპერსი", "ერნსტ ენდ იანგი" და "დელოიტ ენდ ტუში" უდგანან სათავეში. ამ ნუსხაში ადრე შედიოდა "არტურ ანდერსენი" (შესაბამისად, "დიდ ოთხეულს" ადრე "დიდი ხუთეული" ერქვა), რომელიც 2002 წლის ბოლოს, "ენრონის" გახმაურებული სკანდალის შემდეგ გაკოტრდა. შეახსინდო რომ სასახლის მი-

ပျေစိန်မြို့ ပျေစိန်မြို့

ერთ-ერთმა უმსხვილესმა აუდიტორმა "არტურ ანდერსენმა", რომელსაც წლიური ბრუნვა 20-25 მილიარდი დოლარი ჰქონდა (ვერაფერს იტყვი - შთამბეჭდავი ციფრია), დამალა აშშ-ის უმსხვილესი ენერგოკომპანიის გაკოტრება, რასაც ამერიკის საპენსიო ფონდების უმეტესობის გაკოტრება მოჰყვა. სკანდალის შემდეგ, გაკოტრებული "არტურ ანდერსენის" ქონება "დიდმა ოთხეულმა გადაინანილა". მისი აქტივების უმეტესი ნაწილი "ერნსტ ენდ იანგს" ერგო. სწორედ ეს კომპანია შევიდა "არტურ ანდერსენის" "დაცემის" შემდეგ ამ ფირმის ფილიალებში. ეს ფილიალები "არტურ ანდერსენს" მსოფლიოს 185 ქვეყანაში, ძირითადად კი, აზიაში ჰქონდა განლაგებული.

რაც შეეხება საქართველოს აქ ბევრი ე.ნ. "შავი აუდიტორია". ჩვენთან უკვე გამოჩნდა ეს ინდუსტრია. ამას ხელს უწყობს ის ფაქტორიც, რომ საქართველოში "ჩრდილოვანი ეკონომიკის" წილი საკმაოდ დიდია. კერძო ფირმები, რომლებშიც თავად ფირმის მფლობელები აწარმოებენ საბუღალტრო აღრიცხვას როგორც წესი, არ იწვევენ აუდიტორებს: მათვის ეს "ზედმეტი ხარჯია".

ამის გამო, ხშირია შემთხვევები, როცა ქართველი აუდიტორები გარიგებაში შედიან საგადასახადო ინსპექტორებთან საქართველოს კანონმდებლობით, საგადასახადო ინსპექციას არა აქვს უფლება მიიღოს ამთუ იმ ორგანიზაციის წლიურ ბალანსი აუდიტორული დასკვნის გადასახვა.

აქვე უნდა ითქვას, რომ ამ ბოლო დროს, "დიდი ოთხეულის" სიას კიდევ ერთი გიგანტი აუდიტორი - "ბი-დი-ოუ ინტერნეიშენალი" "ეპარება". მას ყველა მონაცემი აქვს იმისათვის, რომ აუდიტორთა ლიდერებს შორის მყარი ადგილი დაიკავოს და "დიდი ოთხეული" ისევ "დიდ ხომილია".

სუთეულად” აქციოს.

ზურად უდგებიან საკითხს და
აუდიტორების მიმართ დიდი
მოთხოვნილება აქვთ. ეს ბუნება-
რივიცაა: აუდიტორი - ფინანსუ-
რი მრჩეველია. მას შეუძლია, სა-
სამართლო დავის შემთხვევაში,
მეწარმის ადვოკატობაც გასწი-
ოს და ეკონომიკური დანაშაულ-
ის ბრალდებისაგან დაიცვას სა-
კუთარი კლიენტი. შესაბამისად,
მეწარმე ერიდება საგადასახა-
დო ინსპექციასთან დავას და
აუდიტორს მიმართავს.

უფრო ხშირად, აუდიტორთა
მომსახურებას სააქციო საზო-
გადოებები მიმართავენ. ოღო-
კა ამაშიც არის: აქციათა მფლო-
ბელებს, როგორც წესი, აინტე-
რესებთ, თუ რამდენად სწორად
წარიმართება მენეჯმენტი მათ
კუთვნილ კომპანიაში. ამ დროს
აუდიტორის დასკვნა, პრაქტი-
კულად, ფასდაუდებელია.

თუმცა, არ არის გამორიცხული, რომ აუდიტორიც შეცდეს. მაგალითად, "დიდი ოთხეულის" წევრს, "პრაისუორერპაუს კუპერსს" 5-7 მილიარდი დოლარი ჰქონდა ბრუნვა. აქედან მიღიარდზე მეტი იმ სადაო თანხაზე მოდის, რაც სასამართლოებში ჰქონდა. ამ თანხიდან ის მიღიარდ დოლარამდე აგებდა. ეს ნიშნავს, რომ მისი დასკვნები ყოველთვის არ შეესაბამებოდა სინამდვილეს. ამიტომ, აუდიტორს მკაფიოდ უნდა ჰქონდეს წარმოდგენილი, რომ თუ დააშავებს, აუცილებლად დაისჯება.

აუდიტორის დასკვნა, მსოფლიო სტანდარტების მიხედვით, ოთხი სახისაა: დადებითი, პირობითი დადებითი (როცა რჩევები მოჰყვება), უარყოფითი, ან დასკვნის გარეშე (როცა აუდიტორი უარს ამბობს დასკვნაზე, რადგან მასზე ან ზეწოლა ხორციელდება, ან მიუღებელია მენარმის მიერ შემოთავაზებული პირობები).

მიუხედავად იმისა, რომ
მსოფლიოში არსებობს ქვეყნე-
ბი, სადაც აუდიტი აუცილებ-
ლობად არის მიჩნეული და მას
კანონი მოითხოვს, პოსტსაბჭო-
ური საქართველო ერთ-ერთი
პირველი იყო, სადაც აუდიტორ-
თა მომსახურება ნებაყოფლო-
ბითი გახდა. ამას უარყოფითი
მოვლენებიც ახლავს: ანგარები-
ანი აუდიტორების რისკის ფაქ-
ტორი ჩვენთან საკმაოდ მცი-
რეა: ისინი მხოლოდ საკუთარი
პრესტიჟით რისკავენ. ამის გა-
მო, არსებობს მოსაზრება, რომ
საქართველოში აუდიტი მხოლ-
ოდ იმ მეწარმეთათვის იყოს სა-
ვალდებულო, ვისი შემოსავალ-
იც გარკვეულ ზღვარს - 24 000
ლარს აჭარბებს.

თუმცა, ეს დავა ახალი არ
არის: აუდიტორების საქმიანობ-
ის დაკონკრეტებისა და დარე-
გულირების ტენდენცია, არა თუ
შვიდწლიანი გამოცდილების
მქონე საქართველოში, არამედ
150-წლიანი პრაქტიკის მქონე
ქვეყნებში, ფაქტობრივად, მთე-

ლი მსოფლიოს მასშტაბით შეიმზნევა. როგორც პარლამენტთან არსებული აუდიტორთა საბჭოს თავმჯდომარე ნოდარ ქებაძე აცხადებს, მალე საქართველოც მიიღებს კანონს, რომელიც ბევრი "შავი აუდიტორის" საქმიანობის შეჩერებას გამოიწვევს.

အျော်စွဲမြတ်စွာ ပုဂ္ဂန်

კერძო აუდიტორების საქმი-
ანობასთან დაკავშირებულ სა-
კითხებს საქართველოში ქვეყნ-
ის პარლამენტთან არსებული
აუდიტორთა საბჭო არეგულირ-
ებს. საბჭოს თავმჯდომარის მო-
ადგილე ელგუჯა აფრიდონიძე
მიიჩნევს, რომ სწორია, როცა
აუდიტორთა მომსახურება ნე-
ბაყოფლობითია: "ეს ასეც უნდა
იყოს, რადგან მცირე მენარმეთ

ებს საქართველოში მეტად
მცირე შემოსავალი აქვთ იმი-
სათვის, რომ თავი ძვირადლი-
რებული აუდიტორების მომ-
სახურებით გაინებივრონ. თუ-
მცა, მედალს მეორე მხარეც
აქვს: ქართული მენტალიტეტი-
ისეთია, რომ თუ წლის ბოლოს
ბალანსის ჩაპარებისას აუდი-
ტორის დასკვნა სავალდებუ-
ლო არ იქნა, საერთოდ აღარავ-
ინ მიმართავს აუდიტორებს."

საქართველოს პარლამენტ-
თან არსებულ აუდიტორთა საბ-
ჭოში აცხადებენ, რომ მათი რე-
გულირებაში შედის აუდიტო-
რული ფირმების ლიცენზირება
სერტიფიცირება და საკანონმ-

დებლო უზრუნველყოფა. "აუდი-იტორს უნდა ჰქონდეს ეკონო-მიური განათლება, არა ნაკლ-ებ ხუთწლიანი მუშაობის სტა-ჟი პროფილით და ინტელექტუ-ის მაღალი კოეფიციენტი, " — გვაცნობეს აუდიტორთა საბჭო-ში.

საქართველოში აუდიტორობის მსურველთა ატესტაცია ოთხ საგანში ტესტირების სახით დარღვება. ჩასაბარებელია

ით ფაოდება. ჩასაბაოებულია
ასი ტესტი: 30 აუდიტის, 25 საერ-
რთაშორისო ბუღალტერიის, 25
– საგადასახადო კოდექსისა და
20 – სამოქალაქო სამართლის
საკითხებზე. ეს ყველაფერი სა-
ქართველოში კანონმდებლობ-
ით გათვალისწინებულ საფინან-
სო საქმიანობას არეგულირებს.
სერტიფიცირების შემდეგ, რო-
ცა პრეტენდენტები უკვე აუდი-
ტორები ხდებიან, საკუთარი არ-
ჩევანის მიხედვით: ან ინდივი-
დუალურად საქმიანობენ, ან
აუდიტორულ ფირმებში იწყებენ
მუშაობას. თუ ისინი ინდივიდუ-
ალურად აპირებენ საქმიანობას,
მაშინ საჭირო ხდება მათი ლი-
ცენზირება. ლიცენზირება მა-
შინაც აუცილებელია, როცა ახ-
ალი აუდიტორული ფირმა იხს-
ნება. "ამ ფირმებს აუდიტის
გარდა სხვა ტიპის საქმიანობ-
ის უფლება არ ექნებათ," – და-
გვიკონკრეტეს აუდიტორთა სა-
ბჭოში.

დღეს საქართველომი ოფიციალურად 250-მდე ფირმა და

ამდენივე ინდივიდუალური
აუდიტორი საქმიანობს. ყოველ
შემთხვევაში, აუდიტორთა საბ-
ჭოს ამდენი ლიცენზია აქვს გა-
ცემული. "თუმცა, რეალურად
დღეს მარტო 150-მდე ფირმა
მოქმედებს. ამის მიზეზი კი
ისაა, რომ საქართველოში
აუდიტის კულტურა ჯერ სა-
თანადო დონეზე არ დგას: თუ
ერთი აუდიტორი მენარმეს იმ
დასკვნას არ დაუწერს, რაც
მას აწყობს, მენარმე სხვას მი-
მართავს. ეს სხვა კი მიზერუ-
ლი ანაზღაურების ფასად ყალ-
ბი დასკვნის გაცემასაც არ
იუკადრისებს," – გვითხრა პა-
რლამენტთან არსებული აუდი-
ტორთა საბჭოს თავმჯდომარის
მოადგილემ ელგუჯა აფრიდო-
ნიძემ.

სწორედ ამის გამო, აუდიო-ტორთათვის საქართველოს პაზარი მაინც დამაინც მიმზიდველი არ არის. "ჩვენთან აუდიტის პაზარი მიმზიდველია მხოლოდ და მხოლოდ იმ ნაწილში, სადაც მუშაობენ უცხოელები," - გვითხრა პარლამენტთან არსებული აუდიტორთა საბჭოს თავმჯდომარებ ნოდარ ქებაძემ. საბჭოს მიერ ჩატარებული ყოველწლიური ანალიზის მიხედვით, ქართველი აუდიტორების საქმიანობიდან ბიუჯეტში 2 მილიონ ლარზე მეტია შეტანილი. იმ ფონზე კი, სადაც მრეწველობა არ მუშაობს, ეს საკმაოდ დი-

დი მაჩვენებელია. შთამბეჭდავია ქართული
მსხვილი აუდიტორული ფირმების საბიუჯეტო შენატანებიცა
"ქართული სამეცნიდან" ფირმა "ჯი-სი-ჯის" გასულ წელს დამატებული ღირებულების გადასა-

ხადის გარეშე მილიონ სამასი
ათასი ლარი აქვს გადახდილი
სახელმწიფო ბიუჯეტისთვის,
ფირმა "იუ-ბი-სის" – 700 ათას
ლარამდე, "საქართველოს აუდ-
იტორულ კორპორაციას" კი –
425 ათასი ლარი.

სახელმწიფო
ტენდერები:
მიმზიდველი ლუკმა
თუ ზედმეტი ხარჯი
კერძო

აუდიტორებისთვის აუდიტორთა კერძო სექტორს გარკვეული იმპულსი მისცა 2002 წელს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს მიერ გამოცხადებულმა ტენდერმა, რომლის მიზანიც სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობის მქონე საწარმოთა ფინანსური მდგომარეობის გამოვლენა იყო. "ტენდერის შედეგად 62 აუდიტორული ფირმა გამოვლინდა, ვინც იმ ორგანიზაციების აუდიტით დაკავდა, სადაც სახელმწიფოს 51 პროცენტზე მეტი წილი ჰქონდა," – განაცხადა ნოდარ ქეპაძემ.

საქართველოში მიმდინარე
გაცხარებული პრივატიზაციის
ფონზე, სახელმწიფოს ნილი



ნოდარ ქებაძე

1800 ორგანიზაციაში დარჩა. სწორედ მათი აუდიტის მიზნით, ქონების მართვის სამინისტრომ ეს ორგანიზაციები ლოტებად დაჰყო (თითოეულ ლოტში 20 ორგანიზაცია შევიდა) და კერძო აუდიტორებს მათი შემოწმება სთხოვა. თუმცა, პროცესები ჩა-ნაფიქრის მიხედვით არ განვი-თარდა. გამოვიდა, რომ სახელმ-წიფომ კერძო აუდიტორებს შეკ-ვეთა მისცა, ხოლო მომსახურე-ბის საფასურის გადახდა თავად შესამოწმებელ ორგანიზაციებს დაავალა. "ზოგი კმაყოფილია, მაგრამ ზოგს ცუდი ლოტები შეხვდა, რადგან ძალიან ბევრი ორგანიზაცია დღეს მხოლოდ ქალალდზე არსებობს, მათი დირექტორები კი თითქმის არ-ასოდეს არ არიან ადგილზე. ამის გამო, ამ ორგანიზაციებ-ზე "მიმაგრებული" აუდიტო-რები ანაზღაურების გარეშე დარჩნენ. ბუნებრივია, ამ სა-ნარმოების სწორად შეფასები-სთვის მათ თავი არ მოუკლ-ავთ," — აცხადებენ აუდიტორთა საპჭომში და მიიჩნევენ, რომ სა-ხელმწიფო ქონების შეფასება სახელმწიფოს საკუთარი ხარჯ-ით უნდა ეკისრა. თუმცა, აქვე დასძენენ, რომ ზოგი აუდიტო-რისთვის ეს სახელმწიფო შეკვე-თა მართლაც "გემრიელი ლუკ-მა" აღმოჩნდა.

თავად განსაჯეთ: სახელმწიფო საწარმოების ნუსხაში ხომ, "გადაშენებული" ორგანიზაციების გვერდით, ისეთი "მონსტრებიც შედიან, როგორიცაა შპს "საქართველოს რკინიგზა", "ჭიათურმანგანუმი", "ფერო"...

ენდ იანგზე" გადაიტანა და ახლა მისი პარტნიორია. სწორედ ამისა გამო, "ენრონის" ცნობილი სკანდალის შედეგად ის არ დაზარალებულა.

ხშირ შემთხვევაში, აუდიტორები იწვევენ პრესტიული "დი-

ქართველი
აუდიტორები

აუდიტი – ბიზნესია. აუდიტორებს საკუთარი ბიზნეს-ინტერესები ამოძრავებთ. ამის გამო, მსოფლიოს ცნობილი აუდიტორები მოღვაწეობის არეალის გაფართოებას მსოფლიოს მასშტაბით ცდილობენ. აუდიტორთა "დიდი ოთხეულიდან" ყველა ფირმას აქვს გარკვეული კავშირი საქართველოსთან. მაგალითად, ქართული "იუ-ბი-სი" "პრაისუოთერპაუს კუპერსთან" და "ბი-დი-ოუ ინთერნეიშენალ-თან" თანამშრომლობს; "ქეი-ფი-ემ-ჯის" მოსკოვის ოფისსა საკუთარი ამიერკავკასიის წარმომადგენლობა აქვს თბილისში (სხვათა შორის, სწორედ ეს წარმომადგენლობა ადრე ეროვნულ ბანკს ამონტებდა, მერე – სემეუკს, ახლა კი "ეი-ი-ეს თელასში" მუშაობს); "დელოიტ ენდ ტუშს" საკუთარი წარმომადგენლობა აქვს საქართველოში; "საქართველოს აუდიტორული კორპორაცია" ფრანგულ "ამიოტთან" თანამშრომლობს; ქართული "ფინანს-აუდიტი" - "ბი-დი-ოუ ინთერნეიშენალთან". ქართული "ჯი-სი-ჯი" ადრე "არტურ ანდერსენთან" თანამშრომლობდა, ხოლო მას შემდეგ კი, რაც შეატყო, რომ "არტურ ანდერსენი" კოტრდებოდა, აქცენტი "ერნსტ

დი ოთხეულის" წარმომადგენ-
ლებს და აუდიტს მათთან ერ-
თობლივად ატარებენ. თუმცა,
თამამად შეიძლება ითქვას, რომ
საქართველოში არის მინიმუმ
ორი თავიდან ბოლომდე ქარ-
თული აუდიტორული კომპანია,
რომელთაც საკუთარი აქტივებ-
ის შემოწმებას საერთაშორისო
საფინანსო ორგანიზაციებიც
ანდობენ. ეს ორი ფირმა – "საქა-
რთველოს აუდიტორული კორ-
პორაცია და "საქართველოს
აუდიტორული და საკონსულ-
ტაციო კომპანია" - მსოფლიო
ბანკმა შარშან, დსტ-ს აუდიტო-
რთა მონიტორინგის შედეგად
გამოავლინა.

დანარჩენი ფირმებს კი ჯერ-
ჯერობით თავი "დიდ ოთხეულ-
თან" მეგობრობით გააქვთ. თუ-
მცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ
"ო-ბე-ხე-ესისა" და "საბჭოთა
რევიზიის" გამოცდილების მქო-
ნე ქართველ აუდიტორებს გა-
მოცდილება და პროფესიონა-
ლიზმი არ აკლიათ. "უცხოელე-
ბი ჩვენ იმიჯით გვამარაგებენ,
ჩვენ კი მათ გამოცდილებითა
და ძველი "რევიზორული გეშ-
ით" ვეხმარებით," – ასე ნახევ-
რად ხუმრობენ დღეს საბჭოთა
კავშირისდროინდელი "რევი-
ზორების" მემკვიდრე აუდიტო-
რები.

და ბოლოს: "ენრონის" სკან-დალის შემდეგ, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა საპენსიონ დავალიანებები, "არტურ ანდერსენის" 2 მილიარდ დოლარად შეფასებული ქონების აუქციონზე გატანის შედეგად, რასაკვი-

როველია, გაისტუმრა. მაგრამ სამაგიეროდ, აუდიტორების მი-მართ მან მიდგომა გაამკაცრა 2002 წლის 31 იანვარს "აუდიტის საერთაშორისო კომიტეტმა" შეასწორა აუდიტორთა 14 საერთაშორისო სტანდარტი. ეს შეასწორებები, ძირითადად, "ბანკების აუდიტის სტანდარტსა" და სტანდარტს "თაღლითობა და შეცდომა" შეეხო. გარდა ამისა აშშ-ში შეიქმნა დასავლეთისათვის თვისობრივად ახალი სახელმწიფო წარმონაქმნი: აუდიტის დეპარტამენტი. მის უფროსად კი ამერიკის სადაზვერვო სამმართველოს უფროსი დანიშნეს ფაქტობრივად, შეიძლება ითქვას, რომ აუდიტის დასავლური კულტურა, "ენრონის" სკანდალის შემდეგ, საბჭოთა რევიზიის ნიშან-თვისებებით "მდიდრდე-

ამასობაში, ამ შვიდიოდე
ნლის წინ დასავლურ ყაიდაზე
გადასხვაფერებული აუდიტის
ქართული ტრადიციაც განიცდა
ის უკუტრანსფორმაციას: იუს-
ტიციის სამინისტროს უკვე
მზადა აქვს საქართველოს პარ-
ლამენტთან არებული აუდიტო-
რთა საბჭოს მიერ ინიცირებუ-
ლი კანონპროექტი, რომელშიც
დასავლური ტენდენციის კვა-
ლდაკვალ, გამკაცრებულია
აუდიტორების პასუხისმგებ-
ლობა. კანონპროექტი პარლა-
მენტის წინაშე უახლოეს მომა-
ვალში წარსდგება. პროექტი
არაკვალიფიციური ან ყალბი
აუდიტორული დასკვნის გაცე-
მისათვის, აუდიტორის მიმართ
სანქციების გამკაცრებას ითვა-

ლისწინებს. დანაშაულის სიმძი-
მის მიხედვით, გამყალბებელი
აუდიტორის მიმართ სხვადასხ-
ვა საჯელია გათვალისწინებუ-
ლი. მათ შორის, ლიცენზიის ჩა-
მორთმევა, იძულებითი მუშაო-
ბა და ხუთი წლით თავისუფლე-
ბის აღკვეთაც კი. "მსოფლიო
აუდიტორების ინსტიტუტს
ამკაცრებს," - აცხადებს პარ-
ლამენტთან არსებული აუდი-
ტორთა საბჭოს თავმჯდომარე
ნოდარ ქებაძე და მიიჩნევს,
რომ ქართველ აუდიტორთა პა-
სუხისმგებლების ასამაღლებლ-
ად ესეც არ არის საკმარისი:
"დასავლეთში ამ საკითხისად-
მი მიდგომა კიდევ უფრო გამ-
კაცრებულია, - აცხადებს იგი,
- მართალია, აუდიტორს და-
მოუკიდებელი მაკონტროლე-
ბლის ფუნქცია რჩება, მაგრამ
თუ აუდიტორი გარიგებაში
შევიდა, ის მკაცრად დაისჯე-
ბა. დაისჯება აგრეთვე ის მე-
ნარმეც, რომელიც აუდიტ-
ორს ფინანსურ დოკუმენტა-
ციას დაუმალავს. აუდიტორი
ხომ მენარმის მეკავშირე უნ-
და იყოს, მისმა რჩევამ კი წარ-
მოებული ბიზნესის პერსპექ-
ტიულობაც უნდა დაუხატოს
მენარმეს."

მანამდე კი, სანამ ეს კანონპ-
როექტი კანონად იქცევა, აუდი-
ტორები კონსულტაციებს გადი-
ან ახალი საგადასახადო კოდექ-
სის ავტორებთანაც, რადგან მი-
იჩნევენ, რომ ახალ კოდექსში
აუდიტორთა და მათ მიერ შესა-
მონმებელ მენარმეთა პასუხის-
მგებლობა მყაფიოდ განსაზღვ-
რული არ არის.

რა უნდა იმოქმედოს სავითარებელი?

ମନ୍ଦିର କଠାରୁତି
ପ୍ରମାଣିତ
ଅଧିକାରୀ, ଏକାକୀ

აქციონერი ეს არის პირი (იურიდიული, ან ფიზიკური), რომელმაც აღმოაჩინა, რომ აქვს დანაზოგი და გადაწყვიტა, ეყიდა აქცია. აქციის ყიდვის წინ ეს პირი ჩვეულებრივი მყიდველია (ან ინვესტორი), რომელიც ყიდულობს არაჩვეულებრივ საქონელს – აქციას. აქციის ყიდვა-გაყიდვა ემორჩილება საბაზრო ეკონომიკის კანონებს და, უპირველეს ყოვლისა, მოთხოვნა-მიწოდების კანონს. აქციების ყიდვა-გაყიდვა მიმდინარეობს ასევე არაჩვეულებრივ ბაზარზე – ფასიანი ქაღალდების ბაზარზე, სადაც ამ გარიგების შესასრულებლად მთელი ინდუსტრია არსებობს: დაწყებული რეგისტრატორებით და დამთავრებული ბროკერებით. ყველა მონაწილე მოწოდებულია, რომ რჩევა მისცეს აქციონერს აქციებით განსახორციელებული ოპერაციების დროს, ხოლო ბროკერი ამავე დროს გამოდის ინვესტორის (მყიდველის) მრჩევლად. ერთი სიტყვით, განსხვავებით სხვა ბაზრისაგან, ფასიანი ქაღალდების ბაზარზე რჩევა სპეციალისტების მხრიდან თითქმის გარდაუვალია. გარდაუვალია ის მაშინ, როდესაც პირი თავისი ნება-სურვილით წყვეტს, გახდეს თუ არა რომილი საძალო სა-

ზოგადოების წევრი, იყიდოს თუ გაყიდოს თავისი აქცია, და ა. შ.
საქართველოში, ადამიანთა დიდი წრე აქციონერი გახდა არა არჩევით, არამედ სიტუაციურ-ად. ბევრისთვის აქციონერობა ბედისწერასავით იყო. დაწესებულებაში, სადაც განხორციელდა განსახელმწიფოებრიობა, ან პრივატიზება და ჩამოყალიბდა სააქციო საზოგადოება, პოლიტიკური ნებით კოლექტივის წევრებს აქციები უფასოდ დაურიგდათ. ასე წარმოიშვა აქციონერთა დიდი მასა საქართველოში. ბუნებრივია, მათი უმრავლესობა წვრილი აქციონერია. ამ კატეგორიის ადამიანებისათვის რჩევას განსაკუთრებული და სპეციფიკური დატვირთვა აქვს.

უპირველესი ცოდნა, რაც
აქციონერს უნდა ჰქონდეს
მდგომარეობს იმაში, რომ აქცი-
ები - ეს არის კორპორაციების,
სააქციო საზოგადოებების შექ-
მნის საშუალება. საქართველო-
ში, მისი ეკონომიკის ტრანსფო-
რმაციის სტადიაზე ყოფნის გა-
მო, აქაც "კეზი შეპრუნებულია".
დღეს არსებული 1800-მდე სააქ-
ციო საზოგადოება წარმოიშვა
არა აქციების გაყიდვის გზით,
არამედ არსებული ე.ნ. სახელმ-
წიფო საწარმოების პოლიტიკუ-
რი წებით სააქციო საზოგადოე-
ბებად ტრანსფორმაციის გზით.
ამიტომ, გარდა იმ შემთხვევისა,
როცა ადგილი ჰქონდა კანონის
დარღვევას პრივატიზების
დროს, დღეს პრაგმატული გა-
დაწყვეტილებების მიღებისათვ-
ის საჭიროა გადავიდეთ კვაზი,
ცრუ ურთიერთობებიდან ბუნე-
ბრივ ურთიერთობებზე. როგო-
რი გზითაც (ბუნებრივია კანო-

ალფრედ ნობელის სახელო-
ბის პრემია ეკონომიკაში კო-
უზისს მიენიჭა 1991 წელს. ნობე-
ლის კომიტეტის დასკვნაში აღ-
ნიშნული იყო, რომ თავისი ნაშ-
რომებით კოუზიმ გააფართოვა
მიკროეკონომიკური თეორიის
ჩარჩოები. დღეს მისი იდეები,
გარკვეული აზრით, კვებავენ და
განსაზღვრავენ კვლევებს როგ-
ორ ეკონომიკური თეორიის, ისე
იურისპრუდენციის სფეროებში.

გლობალური აციქა, უთანასწორობა და საქართველო

გლობალიზაციის პროცესში ჩვენი ქვეყნის ინტენსიურ ჩართვასთან ერთად სოციალური უთანასწორობაც გაღრმავდება, რაც საქართველოს ეროვნულ უსაფრთხოებას შეიძლება სერიოზულად დაიმუშავოს.

გიორგი ხელაშვილი

მოახლოებული საპარლამენტო არჩევნების წინ სულ უფრო თვალში საცემი ხდება ერთი ტენდენცია – ქართული პოლიტიკის დომინანტურ ფრთას მემარჯვენე იდეოლოგიის პარტიები წარმოადგენენ. “ახლები”, “გაერთიანებული დემოკრატები”, “ქრისტიან-დემოკრატები” და სხვა პარტიების ცალკეული ლიდერები ღიად აცხადებენ, რომ ეკონომიკაში თავისუფალი კონკურენციის პრინციპების მომხრენი არიან. საბჭოთა კავშირის არსებობის ბოლო წლებში ინტეიტიურად მიგნებული და კომუნისტური წყობის რღვევის შემდეგ ემპირიულად დადასტურებული დოქტრინა საბაზრო ეკონომიკის უპირატესობისა და უაღმისატერნატივობის შესახებ დღემდე ინერციით იპყრობს ქართული პოლიტიკური ელიტის წარმოსახვას.

რა შეიძლება მოუტანოს საქართველოს ნეოლიბერალური პრინციპებით მოწყობილმა საბაზრო ეკონომიკამ გლობალიზაციის ეპოქაში? ამ კითხვაზე ჩვენში ტრადიციად ქცეული პასუხი გულისხმობს, რომ თავისუფალი ვაჭრობისა და ეკონომიკის ლიბერალიზაციის გზით საერთაშორისო ეკონომიკაში ინტეგრაცია საქართველოს სწრაფი განვითარება პერსპექტივებს შეუქმნის. ამ გზაზე საქართველოს ნინსვლის შემაფერხებელ ფაქტორად კი, ასევე ტრადიციულად, არასწორ ეკონომიკურ პოლიტიკას ან მთავრობის სტრუქტურებში გამჯდარ კორუფციას ასახელებენ ხოლმე. ამ მოსაზრებით, საკმარისია, ეკონომიკურად “სწორი” ნაბიჯები გადავდგათ (რაც, როგორც წესი, ლიბერალიზაციის დაჩქარებას გულისხმობს ხოლმე) და მთავრობაში კორუფცია მოვსპოთ, რომ ბიზნესი ფეხზე დადგება და მოსახლეობაც წელი

ში გაიმართება.
თუმცა, ობიექტურობა მოი-
თხოვს აღვნიშნოთ, რომ საქარ-
თველოს დღევანდელი სიძნელე-
ები არა მარტო არასწორი მართ-
ვისა და კორუფციის, არამედ
მსოფლიო ეკონომიკის მხრიდან
უდიდესი ზეწოლის შედეგიცაა.
როგორ გავლენას ახდენს მსოფ-
ლიო ეკონომიკა და ფინანსები
საქართველოზე, უფრო ზუსტ-

ად, მის განვითარებაზე? ბოლო 10-12 წელიწადში საერთაშორისო ურთიერთობების სისტემის გლობალურმა ტრანსფორმაციამ სერიოზული გავლენა მოახდინა ამ სისტემის შედარებით ახალ წევრებზეც, მათ შორის საქართველოს ახალგაზრდა სახელმწიფოზე. გლობალიზაციამ მოიახედია “ალ-

იზარდა. მეტიც, გაიზარდა არა
მარტო საერთაშორისო, არამედ
შიდა სახელმწიფოებრივი უთა-
ნასწორობაც. უთანასწორობა
უფრო შესამჩნევი გახდა დასავ-
ლეთის განვითარებულ ქვეყნებ-
ში (უპირველეს ყოვლისა, შეერ-
თებულ შტატებში), ყოფილი სა-
ბჭოთა ბანაკის სახელმწიფოებ-
ში და, ყველაზე მეტად, განვითა-
რებად და ულატაკეს ქვეყნებში.

რასაკვირველია, თანასწორობა შეიძლება სულაც არ წარმოადგენდეს თავისთავად ღირებულებას – მით უმეტეს, რომ საერთაშორისო ურთიერთობებში თანასწორობისა და სამართლიანობის პრინციპები, ისევ და ისევ დღეს გაბატონებული “საღიაზრის” მიხედვით, სახელმწიფო ინტერესებს ექვემდებარება. მაგრამ უთანასწორობის ზნეობრივი შეფასება რომ გვერდზე გადავდოთ, ხომ არ წარმოადგენს უთანასწორობა საქართველოს მსგავსი სახელმწიფოებისათვის იმ საფრთხეს, რამაც ეროვნულ ინტერესებს შეიძლება სერიოზული პრობლემები შეუქმნას? და რა ბედი ეწევა უთანასწორობას გლობალიზაციის ხანაში?

რესეპტ ემსახურება.
ბუნებრივია, საკომუნიკა-
ციონ ტექნოლოგიების განვითა-

საც. სახელმწიფო, როგორც ასეთი, ხშირ შემთხვევაში უძლურია ნინი აღუდგეს როგორც უცხოური კაპიტალის ქვეყანაში შესვლას, ისე “კაპიტალის გაქცევას”, რასაც ეროვნული ეკონომიკების რღვევაც კი მოყვება ხოლმე (მაგალითისთვის საკმარისია 1997-98 წლების აზიიკრიზისი გავიხსნოთ).

მათ დასახმარებლად ბოლო
ათწლეულში განსაკუთრებულ

სავალუტო ფონდსა და მსოფლიო ბანკს, რომლებიც ამ სუსტ ქვეყნებს საერთაშორისო ეკონომიკაში “სწორად” ინტეგრირებაში უნდა დახმარებოდნენ. მართლაც, 1990-იანი წლების დასაწყისში ამ საერთაშორისო ფინანსურმა ინსტიტუტებმა ხელი შეუწყვეს განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში მაკროეკონომიკური დისციპლინის დამკვიდრებას და საგრძნობ ლიბერალიზაციას (პრივატიზების გზით). ამას, ჩანაფიქრის მიხედვით, სახელმწიფოს მიერ ეკონომიკის მოუქნელი მართვისათვის ბოლო უნდა მოეღლო და ამ ქვეყნების საერთაშორისო ეკონომიკასთან “შეგუებას” უნდა დახმარებოდა.

დაახლოებით 90-იანი წლების შუასანებში კი “აღმოჩნდა”, რომ პოლიტიკური ინსტიტუტების გარეშე საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების უსარგებლო და საზიანოც კი შეიძლებოდა გამომდგარიყო (უნდა გავიხსენოთ რუსეთის პირველი ლიბერალი პრემიერის, ეგორ გაიდარის გულწრფელი გაკვირვება იმის გამო, რომ პოლიტიკურმა პროცესებმა მისი ეკონომიკური პროგრამა გააცამტვერა). ამ “აღმოჩნდის” შემდეგ შემუშავებული ახალი რეცეპტის არსი კი კორუფციასთან ბრძოლა და “კარგი მმართველობის” დანერგვა გახდა. თუმცა, ეკონომიკის მართვის ნეოლიბერალური დოქტრინა

კვლავაც ხელშეუხებელი დარჩა.



ანტიგლობალისტთა აქციები მსოფლიოსთვის ჩვეული მოვლენაა

იაპონიის ეკონომიკური მიწა-მხელეების გაცვალება

କର୍ମଚାରୀ ପତ୍ରିକାରେ ଉପରେ

იბეჭდება “პროვექტ სინ-დიკატის” ნებართვით, ყველა საავტორო უფლება დაცულია.

იაპონიის ეკონომიკა შეიძლება ითქვას ციებ-ცხელებაში იმყოფება – რეცესიას მცირე აღმასვლები ენაცვლება და ეს უკვე ათ წელიწადზე მეტია, რაც გრძელდება. მთავრობა ამ ციებ-ცხელების წინააღმდეგ ვაქცინას ეძებს, მაგრამ ეს არა და არ ხერხდება. ზოგიერთს ვაქცინად ბიუჯეტის დეფიციტის გაზრდა მიაჩნია, სხვებს ახსოვთ რა კლინტონის ადმინისტრაციის განცხადება იმის თაობაზე, რომ ფისკალურმა კონსოლიდაციამ 1993 წელს აშშ-ის ეკონომიკას დიდი სტიმული მისცა, დეფიციტის შემცირებაზე საუბრობენ. ზოგიერთებს ხსნად ზომიერი ინფლაცია მიაჩნიათ, მაშინ როცა იაპონიის ცენტრალური ბანკი ამას კატეგორიულად ეწინააღმდეგება.

ასეთი ქაოსი ერთი რამითაა გამოწვეული: სხვადასხვა პრო-ბლემას სხვადასხვანაირი წამლობა სჭირდება. იაპონიაში ბევრს არსებული პრობლემები ერთიმეორისაგან ვერ გაურჩევია. როგორც პრეზიდენტ კლინტონის ეკონომიკური მრჩეველი აშშ-ის ეკონომიკის აღმავლობის პერიოდში, ჩემს თავს ვალდებულად ვთვლი მივუთითო იმ გარემოებაზე, რომ 1990 წლის დასაწყისში აშშ-ში შექმნილი ვითარება უნიკალური იყო.

საერთოდ, დეფიციტის შემ-
ცირქება ეკონომიკური ჩავარდნ-
ის პერიოდში ამ ჩავარდნას კიდ-
ევ უფრო აუარესებს, როგორც
ეს დაამტკიცა 70 წლის ნინ ჯონ
მეინარდ კეინსმა. მართლაცდა,
საერთაშორისო სავალუტო ფო-

ნდის წყალობით ჩვენ არაერთხ-
ელ მოგვეცა საშუალება თვალ-
ნათლივ გვენახა აღმოსავლეთ
აზიისა და ლათინური ამერიკის
მაგალითზე რა შეიძლება მოხდ-
ეს, როცა დალმა მიმავალი ეკო-
ნომიკა ბიუჯეტის დეფიციტის
შემცირებას ცდილობს.

ამერიკის შემთხვევაში 1993 წელს ბიუჯეტის დეფიციტის შემცირებამ შემდეგი მიზეზის წყალობით იმუშავა: იქაურ ბანკებს, რომელთაც ერთობ სუსტი ბალანსი ჰქონდათ, დიდი რაოდენობით ჰქონდათ გრძელვა-დიანი ობლიგაციები. ამ უკანასკნელთა ღირებულება კი გრძელვადიანი საპროცენტო განაკვეთების დაცემის გამო გაიზარდა. საპროცენტო განაკვეთების დაცემა, რომელმაც საინვესტიციო საქმიანობას დიდი სტიმული მისცა, ნაწილობრივ სწორედ დეფიციტის შემცირების სტრატეგიის დამსახურება.

დღესდღობით იაპონიას
დეფლაცის პრობლემა უდგას
და არა ინფლაციის. დიდი დეპ-
რესიის პერიოდში ეკონომისტმა
ირვინგ ფიშერმა ფასების დაცე-
მით გამოწვეულ უარყოფით ეფ-
ექტზე გაამახვილა ყურადღება.
ჩემი ერთობლივი ნაშრომი ბრი-
უს გრინულდთან ერთად სწო-
რედ ამ საკითხის თანამედროვე
ჭრილში განხილვას ეძღვნება
და ინფორმაციის ასიმეტრიასაც
მოიცავს.

კეინსს ფასების რიგიდულობა აწუხებდა - ფასებისა და ხელფასების სტატიკურობა პროდუქციისა და სამუშაო ძალის სიჭარბის პირობებში. კეინსის კოლეგამ კემბრიჯის უნივერსიტეტიდან არტურ პიგუმ იმდროისათვის სტანდარტულ თეორიაზე ააგო თავისი მსჯელობა; თუკი ფასები და ხელფასები საკმარისად დაეცემოდა, მაშინ ფულიანი კლიენტურა თავს კარგად იგრძნობდა და ნელ-ნელა ფულის ხარჯვას მიჰყოფდა ხელს, რითაც ეკონომიკას ისევ



କୋଣ୍ଠରେ ଶ୍ରୀଗଣ୍ଡିପାତ୍ର

მისცემდა სტიმულს. ამის საპა-
სუხოდ კეინსმა მოსწრებულად
შენიშვნა, რომ იმ დროისათვის
ყველანი შიმშილით დავიხოცე-
ბოდით.

ფიშერის კრიტიკა კიდევ უფრო მძაფრი იყო და ახლანდელი იაპონიის მდგომარეობას კიდევ უფრო მიესადაგება: რახან ფასები ეცემა, კრედიტორებს, რომელთა ვალები ნომინალებშია დაფიქსირებული (ამ შემთხვევაში, იენებში) ერთობ უჭირთ კრედიტების გასტუმრება. რეალურად მათ ხომ გაცილებით მეტის გადახდა უწევთ ვიდრე ისესეს.

ზოგიერთი კრედიტორი ვა-
ლებს არ იხდის, რაც უკვე ბანკ-
ებს უქმნის პრობლემას. ვინც
მაინც იხდის, იძულებულია საა-
მისოდ ხარჯები შეამციროს, რი-
თაც ხელს უწყობს ეკონომიკურ
ჩავარდნას. ფასების დაცემა იმ-
ას ნიშნავს, რომ დაბალი ნომინა-
ლური საპროცენტო განაკვეთის
პირობებშიც კი დეფლაციის გა-
თვალისწინებით რეალური გა-
ნაკვეთი გაცილებით მაღალია.
შედეგად, ინვესტიციას სტიმუ-
ლი ეკარგება. ასე რომ, ფასების

A black and white portrait of a middle-aged man with a beard and glasses, smiling at the camera. He is wearing a dark jacket. The background is slightly blurred.

ად ისინიც უფრო მეტად დახარჯავენ ფულს. ბევრი კრედიტორი ვალების გასტუმრებას შეძლებს, რის შედეგადაც ბანკებს მეტი გასესხების საშუალება მიეცემათ. ამასობაში იენის კურსიც დაეცემა და ექსპორტიც აიწევს.

რა თქმა უნდა, ინფლაციის
პარანოიით დაავადებულნი შექ-
ფოთდებიან: ასეთი პოლიტიკა
ოდესმე ხომ კატასტროფულ ინ-
ფლაციამდე მიგვიყვანს. მაგრამ
ამ მოსაზრებას არანაირი ეკო-
ნომიკური დასაბუთება არ უმა-
გრებს ზურგს. იმ ქვეყნებისათვ-
ის, სადაც ინფლაცია ჩვეულებ-
რივ დაბალ ან საშუალო მაჩვე-
ნებლებს არ სცდება ამგვარი სა-
შიშროება არ ემუქრებათ.

თავის მოდით თაიზუ ყველა-
ფერი დავაზუსტოთ: თუკი იაპ-
ონიის მთავრობა უკანმოუხედა-
ვად დაიწყებს ფულის ბეჭდვას —
როგორც გააკეთა ეს ახლო წარ-
სულში ზოგიერთმა ქვეყანამ —
ამგვარი საშიშროება მართლაც
იქნება. მაგრამ ტოკიომ ფისკა-
ლურ საკითხებში დიდი ცოდნა
და სიბრძნე გამოიჩინა და ამ სა-
კითხშიც არ უნდა დაუშვას შეც-
დომა.

რა გავლენა ექნება იაპონიის
ეკონომიკურ რწმენაზე ამგვარ
ფისკალურ სტიმულს? მინდა
გითხრათ, რომ ეკონომიკურ
რწმენას რეცესიებზე უფრო
მეტ ზიანს არაფერი აყენებს.
ხოლო მთავრობისადმი ნდობას
არაფერი არყევს ისე, როგორც
უუნარობა გაუმკლავდეს მრა-
კალწლიან სტაგნაციას.

იაპონიის ეკონომიკის აღორძინება დიდი სტიმულის მიმცემი იქნება აზიისათვის, სტიმულის მიმცემი იქნება მთელი მსოფლიოსათვის. ხოლო აქ წარმატებით გამოცდილი ფისკალური სტიმულის მეთოდი შეიძლება ასევე წარმატებით გამოადგეთ სხვა ქვეყნებს, რომლებიც ანალოგიურ პრობლემებს განიცდიან.

რა უნდა იცოდოს პატიონერმა?

D4 ፳፻፲፭፻፲፭፻፭፻

იყოს აქციონერი საერთო კრებ-ის ჩატარებისა და დღის წესრიგის შესახებ. ბოლო დრომდე სააქციო საზოგადოების საერთო კრების შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნება შეიძლებოდა ნებისმიერ გაზეთში. ხშირად სპეციალურად ინფორმაცია ქვეყნდებოდა ისეთ გაზეთებში, რომელიც აქციონერებისათვის არც კი იყო ცნობილი. ეხლა ყოველწლიურად დგინდება საქართველოს ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისიის მიერ იმ გაზეთების ნუსხა, სადაც აუცილებელი წესით უნდა გამოცხადდეს საერთო კრების ჩატარების შესახებ. 2003 წლისათვის ეს გაზეთებია: "საქართველოს

"რესპუბლიკა", "რეზონანსი",
"24 საათი", "სვობოდნაია გრუ-
გა-".

სააქციო საზოგადოების დი-
რექტორატი და სამეთვალყუ-
რეო საბჭო პასუხისმგებელია
აქციონერების (შესაბამისად კა-
ნონის) წინაშე, რომ თავისი საქ-
მიანობა კეთილგონივრულად
და კანონმდებლობის სრული
დაცვით წარმართონ, რომელიც
საბოლოო ჯამში საწარმოს შე-

დეგები და დივიდებდების, ახ აქციის ფასების ზრდაში უნდა იჩინოს თავი. აქციონერისათვის მოუთმენელი უნდა იყოს ისეთი სიტუაცია, როდესაც წილობით სააქციო საზოგადოება წამგებიანია, ხოლო დირექტორატი უცვლელია. შეიძლება კი იგუოს მესაკუთრემ დაქირავებული პი-

რი, რომელსაც მისთვის მხოლოდ წაგება მოაქვს? დიდი ეჭვის ქვეშ უნდა დადგეს იმ საბჭოს წევრების ქმედებებიც, რომლებიც ცუდ შედეგებზე მომუშავე დირექტორებს ეგუება. თუ სანარმოს ცუდი შედეგები გამოიწვევა ულია ობიექტური მიზეზებით ამის შესახებ აქციონერებისათვის ცნობილი უნდა იყოს და ეს უპირველეს ყოვლისა უნდა გააკეთოს სანარმოს მმართველი არაუკანარი მიზანი:

ორგანოს ხევრებისა.
თუ საწარმოს მდგომარეობა
ობიექტურად უიმედოა, მაშინ
ნაკლები ზარალის, ნაკლები და-
ნაკარგების მიღების პრინციპ-
ით შეიძლება დაისვას საწარმოს
შერწყმის, გაყოფის, გაკოტრებ-
ის, ან ლიკვიდაციის საკითხი.

აქციონერმა უნდა იცოდეს,

რომ დღეს საქართველოში აქ-
ციები არსებობს არამატერია-
ლიზებული სახით, ანუ ელექტრ-
ონული სახით. აქციები სპე-
ციალურად გამოშვებული ქა-
ლალდების სახით კი არაა, არა-
მედ არის ჩანაწერის სახით. ას-
ეთი ჩანაწერი, ანუ რეესტრი
ერთი ინახება თვით სააქციო
საზოგადოებაში (ემიტენტთან).
მეორე კი ფასიანი ქაღალდების
რეგისტრატორებთან. რეგისტ-
რატორები არიან აქციის
მფლობელთა რეესტრის მნარ-
მოებლები. აქციონერს შეუძ-
ლია ნებისმიერ დროს მიიღოს
ინფორმაცია რეგისტრატორი-
საგან მის მფლობელობაში არ-
სებული აქციების შესახებ. ეს
ინფორმაცია მას მიეწოდება
დოკუმენტაციურად – რეესტრი

რიდან ამონაწერის სახით.
სამწუხაროდ, ზემოთ ჩამო-
თვლილი აქციონერთა უფლებე-
ბი თითქმის სრულად მოწესრი-
გებულია ძირითადად იმ სააქ-
ციონ საზოგადოების აქციონე-
რთათვის, რომლებიც ანგარიშ-
ვალდებულ საწარმოებს წარმო-
ადგენენ. პრაქტიკამ აჩვენა,
რომ სხვა შემთხვევებში ძალიან
ხშირად ირღვევა აქციონერთა
უფლებები. ამიტომაც დაისვა
საკითხი, რომ ყველა სააქციო-
საზოგადოება მოექცეს ერთიან
რეგულირების რეჟიმში. შესაბა-
მისი საკანონმდებლო ცვლილე-
ბები მზადაა და უახლოეს ხანში
ალბათ გაივლის ყველა დადგენ-
ილ პროცედურას, რაც გაზრდის
აქციონერთა უფლებების ცხოვ-
რებაში გატარების ზომას.

მაცხოველი: გაკოტონებული სამოთხო

ვაგრძელებთ წერილების სერიას ლეშეკ ბალცეროვიჩის წიგნიდან „თავისუფლება და განვითარება“. ამჯერად აზისა და ლათინური ამერიკის კონტინენტიდან გვინდა ევროპის კონტინენტზე გადმოვინაცვლოთ და გაგაცნოთ ისეთი კლასიკური სოციალისტური ქვეყნის გამოკიდოლება, როგორიც შევდეთია.

არც თუ ისე დიდი ხნის წინ-
ათ ორი ქვეყანა, - იუგოსლავია
და შვედეთი მიიჩნეოდა როგ-
ორც ე.წ. "მესამე გზის" აღმომ-
ჩენი სოციალიზმსა და კაპიტა-
ლიზმს შორის. იუგოსლავიაძ
ტრაგიკულად დაასრულა თავი-
სი არსებობა. თუმცა ამ მოვლენ-
ების გამომწვევი იყო ძირითა-
დად ეთნოკონფლიქტები და არა
ის მართველობითი მოდელი
რომლის დანერგვასაც ბოლო
ნლებში აქ ცდილობდნენ. ამას-
თან, როგორც თეორიიდან, ისე
პრაქტიკიდან ცნობილია, რომ
ეს მოდელი, რომელიც ასე იზი-
დავდა "მესამე გზის" მიმდევრ-
ებს, გაცილებით ნაკლებკონკუ-
რენტუნარიანია, ვიდრე კაპიტა-
ლისტური მეურნეობა. ამიტომ
განვითარების ეკონომიკური
მოდელის თავისუფალი არჩევა-
ნის არსებობისას ქვეყნები უფ-
რო კაპიტალისტურ ცხოვრების
წესს ირჩევენ, ვიდრე თვითმარ-
თველობით მოდელს.

ତାତ୍ପର୍ୟାବ୍ୟାକ୍ଷମିତି

შვედეთს, იუგოსლავიასთან
შედარებით, გაცილებით ნაკლები
იყო პრობლემები ჰქონდა. ამიტომ
ჯერ კიდევ შეიძლება ისეთი
პოლიტიკოსების პოვნა, რომ-
ლებიც იყენებენ რა სოციალ-
დემოკრატიულ ლოზუნგებს,
ცდილობენ დაამტკიცონ, რომ
ეს მოდელი პოლონეთისათვის-
აც მისაღებია. ეს ძალიან საშიში
გაუგებრობაა. აღსანიშნავია,
რომ ამ მოდელის პრაქტიკაში
განხორციელება შვედეთში ოც-
დაათიან წლებში დაიწყო, რო-
დესაც იქ უკვე საკმაოდ იყო გა-
ნმტკიცებული კაპიტალიზმი.
სახელდობრ, ამ საფუძველზე
მოიმაგრა ფეხი შემდგომ "შვე-
დურმა მოდელმა". როგორც
ცნობილი შვედი ეკონომისტი
პეტერ სტეინი აღნიშნავს, ჯერ
იყო შვედური წარმატებები, ხო-
ლო შემდეგ – "შვედური მოდე-
ლი". მიუხედავად ასეთი ხელსა-
ყრელი პირობებისა, ეს მოდელი
ბოლო წლებში პრაქტიკულად
გაკოტრდა და ქვეყნის ეროვნული
მეურნეობის წინსვლის გზა-
ზე შექმნილმა პრობლემებმა
უკვე ბევრი ადამიანი აალაპარა-
კა "შვედური მოდელის" გადახე-
დვის თაობაზე.

1870 წელს შვედეთი გაცი-
ლებით უფრო ღატაკი ქვეყანა
იყო, ვიდრე დასავლეთ ევროპის
ქვეყნების უმრავლესობა, მაგრ-
ამ შემდგომი ორიოდე ათეული
წლის განმავლობაში მან დასძ-
ლია ეს ჩამორჩენილობა, დაიწყო
ტექნოლოგიურად საკმაოდ
რთული სამრეწველო პროდუქ-
ციის გამოშვება, ექსპორტზე მი-
სი გატანა და ამ გზით ქვეყნის
ეკონომიკა საკმაოდ დაწინაურ-
ობა მიჰინა სამართლებრივ ს



ცებდა, მაგრ
იგი მაღალი გ
ზეზი ხდებოდ
ალური პოლი
ძირითადად,
ნოპოლის სა
ციელდებოდა.
ლო ხანებამდე
თქმის შეუძლე
კლინიკის გახ
ადამიანთა მკ
კერძო სახის
მოდელისათვ
ბელია ასევე ძ
ჩაბმა პროფესია
განიზაციას შე
ლიზებული ხა
გული მდებარ
დაქალაქში, სა
ლი ქვეყნის მა
ებს მოლაპარ
ვებლებთან.
ლიდერებს მა
ანალვლებთ ე
თარების პრო
ზოგჯერ ეს ო
რობასთან შეი
და ზოგიერთ
გალითად, 193
შირებსა და
შორის დაიდო
რომელმაც ს
ქვეყანაში მრა
ული საზოგა

მიუხედავად ამ ყველაფრისა, ქვეყანა ცხოვრებას მაინც კაპიტალისტური ცხოვრების წესით განაგრძობდა. აქ, გარდა ზოგიერთი სფეროსი, რომელთა დაფინანსებაც ბიუჯეტიდან ხდებოდა (მაგალითად, სკოლები, საავადმყოფოები და სხვ.) ძალზე დაბალი ხვედრითი წილ-

ით იყო წარმოდგენილი სახელმწიფო სექტორი. შვედ სოციალ-დემოკრატებს, განსხვავებით ფრანგი და დიდი ბრიტანელი კოლეგებისაგან, არ მიუმართავთ კერძო საწარმოების პრივატიზებისათვის. ამასთან, შვედეთში კერძო საკუთრებას საკმაოდ კონცენტრირებული ხასიათი ჰქონდა. მაგალითად, აქ აქტიურ როლს თამაშობდა და დიდი გავლენა ჰქონდა ვალენბერგების ოჯახის იმპერიას. სახელმწიფო ნაკლებ ეროვნა სამრეწველო პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაში, რათა თავისი შეხედულებისამებრ შეცვალა ეროვნული მეურნეობის სტრუქტურა. იმის შესახებ, თუ რომელი საწარმო გამდიდრებულიყო და რომელი გაკოტრებულიყო, გადაწყვეტილებას ვერავინ იღებდა, ბაზრის გარდა. შვედეთის ეკონომიკა იყო გახსნილი და ჰქონდა საექსპორტო ხასიათი. ამასთან, როგორც ხელისუფლება, ისე კერძო საწარმოები ექვემდებარებოდნენ მკაცრ საფინანსო დისციპლინას. მოკლედ, შვედეთის ეკონომიკური პოლიტიკა გამოჩენილი ლიბერალური ეკონომისტისა და ფილოსოფოსის ჯონ სტიუარტ მილის ძლიერ გავლენას განიცდიდა, რომელიც განსხვავებით კარლ მარქსისაგან, უფრო ლიბერალური კაპიტალისტური ეკონომიკის მომხრე იყო. მიუხედავად ამისა, შვედური გამოცდილება გვაჩვენებს, რომ ამგვარი მოდელის მიხედვით ეკონომიკის მოქმედება სერიოზულ შეფერხებებს განიცდის და ყოვნდება მისი განვითარება.

კრიზისის მიმართულებით

შვედეთი 1950-70 წლებში რ კიდევ ზრდიდა თავის ერო- ულ ეკონომიკას საშუალოდ გიურად 3,3 პროცენტით. ეს კი ცილებით დაბალი იყო, ვიდრე რმანის, იტალიის თუ საფრა- ეთის ეკონომიკის განვითარე- ა ტემპები, თუმცა უფრო რაფი, ვიდრე დიდი ბრიტანეთ- ამასთან, ეს ზრდა, ძირითად- , საკმაოდ დიდი დანახარჯებ- სანაცვლოდ მიღწეოდა, თუ- ა, ეს დანახარჯები მაშინ ასე ალსაჩინო არ იყო. აღნიშნული ნახარჯები აშკარად დღის სი- ლეზე გამოვიდა სამოცდაა- ან წლებში, როდესაც მთელ უფლიოში მკვეთრად გაიზარ- ნავთობის ფასები. შვედეთში სების ზრდას ამ პროდუქცია- თან დაერთო მცდარი ეკონო- კური პოლიტიკა, რომელიც უძლებელს ხდიდა სათანადო ენომიკური მექანიზმების ამ- მედებას. ამ ქვეყნის ეკონომი- თანდათან უფრო მოუხეშავი ებოდა. ნავთობზე ფასების დის საპასუხოდ შვედეთში მოქმედეს ექსპანსიური ფულ- -საკრედიტო პოლიტიკა. პრო- ავშირების მხრიდან ძლიერი წოლის გამო აქ, მიუხედავად ნიშნულისა, ხელფასები ლავ განაგრძობდა ზრდას. ას- პირობებში, თუმცა იზრდე- და წარმოების მოცულობებ- , მაგრამ საქონელი დაბალკო- ურნენტუნარიანი იყო. შედეგ- ფერხდებოდა მისი რეალიზა- ა, რაც იწვევდა საწარმოების გების შემცირებას. იკლებდა კესტიციებიც. ამაზე ხელისუ- ლებამ ის რეაგირება მოახდინა, ამ გამოჰყო დიდი სუბსიდიები გიერთი ზარალიანი საწარმ- შესანარჩუნებლად და ზოგი- თის შესასყიდად. 1970-82 წებში ქვეყნის ბიუჯეტის ხარ- ბი წლიურად ექვსი პროცენტ- იზრდებოდა. ამის გამო შვე- თში ბიუჯეტის დეფიციტმა 33 წლს შეადგინა 14 პროცენ- , მკვეთრად იწყო ზრდა ინფ- ციამ. ასეთ პირობებში თითქ- ა ადგილი არა ჰქონდა ეროვ- ლი შემოსავლის ზრდას. შეოთვის სოციალ-ომით კ-

შვედეთის ეკონომიკაში ყუ-
დღებას იპყრობს სხვა უარ-
ფითი ტენდენციებიც. სამო-
ქაათიანი წლებიდან დაწყებუ-
ლის გრძელება D14 გვიანდება

მაცხოველი: გაკოტონური საოთხე

D13 ბაცოდიდან

ლი თვალსაჩინო ხდება რეალუ-
რი შრომის ანაზღაურების კლე-
ბის (სტაგნაციის) ტენდენცია.
1970-90 წლებში დასაქმების
დონის გაზრდა ძირითადად სა-
ხელმწიფო სექტორის ხარჯზე
ხდებოდა, რომელიც ძირითად-
ად ბიუჯეტით ფინანსდებოდა,
და რომელიც მანამდე ოჯახური
მეურნეობების მიერ სრულდე-
ბოდა (მაგალითად, სკოლამდე-
ლი ასაკის ბავშვების აღზრდა
და სხვ.). ეს კი იმას ნიშნავს, რომ
ეროვნული შემოსავლის ზრდა
უფრო სტატისტიკური ილუზი-
ის შედეგს წარმოადგენდა.

შრომის ანაზღაურების სო-
ციალ-დემოკრატიულმა პოლი-
ტიკამ განსაკუთრებით მავნე
უარყოფითი გავლენა მოახდინა
განათლების სისტემაზე. როდე-
საც შრომის ანაზღაურებაში მა-
ინც და მაინც დიდი განსხვავება
არ არის განათლებულ თუ ნაკ-
ლებგანათლებულ მუშაკებს შო-
რის, მაშინ უკვე აღარ არსებობს
დიდი სწრაფვა უმაღლესი განა-
თლების მიღებისაკენ. შესწავლა
უჩვენებს, რომ უმუშევრობასთ-
ან ბრძოლის შვედურ მოდელს
დიდი რაოდენობით სახელმწიფო

ფინანსების ფლანგვა მოსდევს.

პრემიერ-მინისტრ ბილდგის კონსერვატიულ-ლიბერალური მთავრობა და სოციალ-დემოკრატიული ოპოზიცია 1992 წელს შეთანხმდა განეხორციელებინათ პროგრამა, რომელიც შვედური მოდელის ძირფესვიან გადასინჯვას ითვალისწინებდა. ქვეყანაში გაღრმავებული კრიზისის მიზეზებს მთავრობა სწორედ ძველ ეკონომიკურ პოლიტიკაში ხედავდა. ისინი უკვე აღარ აპირებდნენ გაკოტრებული სამოთხის დიდხანს შენარჩუნებას. შემცირებული იქნა შვებულებები, იკლო ბიულეტენების ანაზღაურებამ, პენსიების ოდენობამ, დაიწყო საწარმოების პრივატიზაცია. ცნობილმა შვედმა ეკონომისტმა ასარ ლინდბეკმა მთავრობას განსახორციელებლად შესთავაზა პროგრამა, რომელიც შემდეგ უმთავრეს ღონისძიებებს ითვალისწინებს: საბიუჯეტო ხარჯების შემდგომი შემცირება, საპენსიონისტების რადიკალური რეფორმირება, უმუშევართათვის დახმარებების ფონდის შეკვეცა, შრომის ბაზრის შემდგომი დაიმგვარი ლიბერალიზაცია, რომლის დროსაც განთავისუფლე-



სტოკოლმის ხედი.

ბული მუშაკები აქტიურად და-
უნდა დანერგოს ძებნას ახალ სამუ-
შაოს. პროგრამის მიხედვით გა-
ნსაკუთრებით უნდა გამკაცრდ-
ეს ანტიმონოპოლიური ღონის-
ძიებების განხორციელება, გა-
ფართოვდეს იმ დაწესებულებებ-
ბის უფლებამოსილებანი, რო-
მელთაც ეროვნული ვალუტის
სიმტკიცეზე ზრუნვა ევალებათ
და ა.შ.

ქვეყნის ეროვნული მეურნეობის გამოჯაანმრთელების მიზნით პრემიერ-მინისტრ ბილდგურის მთავრობამ დაიწყო ეკონომიკური რეფორმის ენერგიული განხორციელება. ამგვარ თერაპიას კი, აქვს, თუმცა აუცილებელი, მაგრამ ძალზე მტკიცნეული მხარეები. სწორედ ამიტომ იყო, რომ 1994 წლის არჩევნებში შვედებმა მხარი სოციალ-დემოკრატიულ მთავრობას დაუჭირეს, ალბათ იმ იმედით, რომ ისინი არსებულ *status quo*-ს შეუნარჩუნებდა მათ. მაგრამ ამგვარი მოლოდინი რეალობას არ ემყარება და დაუსაბუთებელია. ქვეყნის ეკონომიკა ისეთ სირთულეებში გაეხვია, რომ შვედური მოდელის რადიკალური ცვლილების გარეშე მათი დაძლევა შეუძლებელია.

გლობალურიაცია, ეთანასმორობა და საქართველო

D11 გვარდიანი

ამგვარად, განვითარებადი
და გარდამავალი ეკონომიკის
მქონე ქვეყნებს ორმაგი დარტყმ-
მის გადატანა მოუხდათ – ჯერ
ერთი, მსოფლიო ეკონომიკის
დაუნდობელ წესებთან შეგუება
მოუწიათ. მეორეც, ამ უთანას-
წორობის გაღრმავებაში განსა-
კუთრებული როლი სწორედ საე-
რთაშორისო საფინანსო ინსტი-
ტუტებმა, უპირველეს ყოვლისა,
საერთაშორისო სავალუტო ფო-
ნდმა შეიტანეს.

თუმცა, ნათქვამი ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს პრობლემას ის სათავე საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები და მათი მცდარი პოლიტიკა იყოს. გლობალიზაცია, რომელიც მსოფლიოს ისტორიის განვითარების ლოგიკური ეტაპია, თავისთვალისწილებას ხელს უთანასწორობის გაღრმავებას (თანაც, უთანასწორობა სულ უფრო მეტად შესამჩნევიცაა იმის გამო, რომ ტელეკომუნიკაციების და მას მედიის განვითარებამ მსოფლიოში არსებული განსხვავებები ყველასთვის ადვილად დასანახი და უფრო თვალსაჩინო გახდა).

გლობალიზაცია სახელმწიფოების შიგნით უთანასწორობას სამი გზით აღრმავებს – ჯერ ერთი, მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფებს საერთაშორისო ეკონომიკის უპირატესობებით სარგებლობის სხვადასხვაგვარ შანსებს უქმნის; მეორეც, ამცირებს სახელმწიფოს, როგორც მოსახლეობის სოციალური დაცვის მექანიზმის როლს; და მესამეც, არღვევს იმ ტრადიციულ სოციალურ სტრუქტურებს, რომლებიც უთანასწორობის გაღრმავებას

ისტორიულად ხელს უშენიდა

თუმცა, მივყვეთ რიგის მიხედვით. თანამედროვე “თავისუფალი” გლობალური ბაზარი ცალკეული ქვეყნის სხვადასხვა სოციალური ჯგუფისათვის სხვადასხვაგვარად ხელმისაწვდომი აღმოჩნდა. მოსახლეობის ერთი ნაწილისათვის, რომელიც კაპიტალს, კომუნიკაციის საშუალებებს (ინტერნეტი, საპარავო მიმოსვლა) და ფინანსურ ინფორმაციას ფლობდა, საშუალება ლობაში ასრულებდა. შეუძლებელია იარაღით დაიცვა თავი საერთაშორისო ფინანსურ ბაზრებზე სპეციულაციური გარიგებებისაგან, რასაც ქვეყნიდან კაპიტალის მოულოდნელი გადინება შეიძლება მოყვეს, რაც, თავის მხრივ, დესტაბილიზაციასა და სახელმწიფო სტრუქტურების რღვევას გამოიწვევს (ანუ იმას, რაც აზიის კრიზისის დროს ინდონეზიაში მოხდა).

მიეცა საერთაშორისო ბიზნესში ჩართვით გაეზარდა შემოსავალი. ამის ყველაზე სწრაფი და სარფიანი გზა ოფშორულ ზონებში კაპიტალის დაბანდება გახდა. ჩამორჩენილი ქვეყნებშისათვის ეს განსაკუთრებით სავალალო აღმოჩნდა, რადგან ხშირ შემთხვევაში ეროვნული ეკონომიკიდან ოფშორული ზონების გავლით კაპიტალის დასავლეთის ქვეყნებში გადინება ხდება, სამაგიერო ინვესტიციები კი არავის შემოაქვს (საერთოდ, თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკაში საინვესტიციო კაპიტალის ბრუნვა ძირითადად განვითარებულ ქვეყნებს შორის მიმდინარეობს, დანარჩენ მსოფლიოს კი “ნამცეცებილა” ხვდება). ეს პროცესი ბოლო ათწლეულებისთვის იყო დამახასიათებელი, მაგრამ გლობალიზაციამ იყო უფრო დააჩქარა და, შეიძლება ითქვას, შეუქცევადიც გახათა.

ამას ემატება ისიც, რომ ვერც საერთაშორისო საინვესტიციო კომპანიებმა და მსხვილმა ბანკებმა, ვერც საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებმა ვერ მოახერხეს იმგვარი სისტემის შექმნა, რომელიც საერთაშორისო საფინანსო სტაბილურობას უზრუნველყოფდა. შესაბამისად, არამცთუ პატარა და სუსტი, არამედ დიდი ქვეყნების ეკონომიკებიც კი არაა დაზღვეული სერიოზული კატაკლიზმებისაგან. თავის-თავად იგულისხმება, რომ პატარა ქვეყნებში სახელმწიფოს როლის შესუსტება, უპირველეს ყოვლისა, სოციალურად ნაკლებად უზრუნველყოფილ ფენას აყენებს დარტყმის ქვეშ და უთანასწორობას აღრმავებს. სახელმწიფო დიდი ხნის განმავლობაში მოსახლეობისათვის საერთაშორისო ეკონომიკის ქარტეხილებისაგან დამცველი გარსის ფუნქციას ასრულებთა. თოვეს ეს გარსი “გა-

მეორეც, გლობალიზაციის პროცესში სულ უფრო მცირდება სახელმწიფოს როლი, რაც განსაკუთრებით სუსტ ქვეყნებს აყენებს გამოუსწორებელ ზიანს. ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში სამსედრო კომპონენტი ვეღარ ასრულებს იმ როლს,

რა უდის. დღეს ეს გაიარა ეს ცრეცილი” და ფუნქციაშესუსტებულია. შესაბამისად, სახელმწიფოს სულ უფრო მეტად უჭირს სოციალური არბიტრის როლის შესრულება, ანუ შემოსავლების გადანაწილება და უთანასწორობის შერბილება.

მესამეც, იმ ტრადიციულ სა-

ზოგადოებებში, რომლებშიც სო
ციალური უთანასწორობის შერ
ბილების ფუნქციას ხალხური
ადათ-წესები ასრულებდა, გლო
ბალიზაციის პროცესმა ბევრ
რამ შეცვალა. ის, რაც დაიწყო
მოდერნიზაციის პროცესმა, თი
თქმის ბოლომდე მიიყვანა ციფ
რულ ტექნოლოგიებზე დამყარე
ბულმა კომუნიკაციის საშუალე
ბებმა. მარქსისა და ენგელსის მი
ერ ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუ
კუნის შუახანებში ნაწინასწარ
მეტყველებმა სოციალურმა გა
უცხოებამ მოსახლეობის ღარიბ
ფენები ადათ-წესებზე დამყარე
ბული სოციალური მექანიზმების
გარეშე დატოვა. სავარაუდოდ
ეს პროცესი გლობალიზაციის
გაღრმავებასთან ერთად უფრო
შორს წავა.

ზემოთ მოყვანილი სამი მიზეზის – ეკონომიკური გლობალიზაციის დაუნდობელი ზეგავლენის, სახელმწიფოს როლის შესუსტებისა და ტრადიციული საზოგადოებრივი ურთიერთობების მოშლის შედეგად დღევანდელ მსოფლიოში სულ უფრო მწვავედ დგება უთანასწორობის პრობლემა. როგორც სტატიის დასაწყისში აღვნიშნე, ეს შეიძლება იმდენად არა ზნეობრივი საკითხი იყოს, რამდენადაც პრაგმატული. შეიძლება თუ არა, რომ ეროვნული უსაფრთხოება უზრუნველყოფილი იყოს ისეთ საზოგადოებაში, რომელშიც სოციალური უთანასწორობა სწრაფად ღრმავდება? ამ კითხვაზე დადებითი პასუხის გაცემა ძნელია. ლიბერალებისა და ნეოლიბერალების ტრადიციული არგუმენტი, რომ წარმატებული სოციალური ჯგუფების შემოსავალი დაბალ ფენებზე გადანაწილდა ქართული სახელმწიფო ორმაგი დარტყმის ქვეშაა – ჯერ ერთი, მას ძირს უთხრის კორუმპირებული ხელისუფლება და მეორეც, მას ასუსტებს გლობალური ეკონომიკის დაუნდობელი პროცესები. ასე რომ, ეკონომიკის მართვაში სახელმწიფოს როლის შესუსტებაზე უფრო მეტად, აჯობებდა პოლიტიკურ პარტიებს მეტი ყურადღება სახელმწიფო აპარატის გაწმენდა-გაძლიერებაზე გადაეტანათ. მემარჯვენე იდეოლოგით მართული პატარა და სუსტი სახელმწიფო გლობალიზაციის ეპოქაში ოკეანის ტალღებში მაშველი რგოლის გარეშე გადაგდებულ ბავშვს წააგავს. უთანასწორობა, რომელსაც ნეოლიბერალური ეკონომიკური დოქტრინიორობა უფრო გააღრმავებს, მომავალში შეიძლება ქართული პოლიტიკის მთავარ პრობლემად იქცეს.

არატრადიციული ორიენტაციის პირად პიგინამდე

ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინ პარტიულერია მხოლოდ ქალების კუთვნილებასა და ფუფუნების საგანს წარმოადგენდა. მამაკაცები კი, გულწრფელად აცხადებდნენ, რომ მათთვის საპნის გარდა, სხვა კოსმეტიკური საშუალება და გაპარსვის შემდგომი ლოსიონებისა და ოდეკოლონების გარდა კი, სხვა პარტიულერული საშუალებები არ არსებობს. თუმცა, მას შემდეგ ნამდვილი გარდატეხა მოხდა. ახლა მთელს მსოფლიოში წამყვანი პარტიულერული ფირმები უფრო და უფრო მეტად ორიენტირებულები ხდებიან სპეციალურად მამაკაცის პარტიულერული საშუალებების წარმოებაზე, ამის შესაბამისად, წლიდან წლამდე უფრო და უფრო იზრდება პარტიულერის მომხმარებელ მამაკაცთა რაოდენობაც. მიმდინარე წლს ისეთი ფირმები როგორიცაა, “ბიოთერმი”, “ივ სენ ლორანი”, “კენზო”, “ვერსაჩე” მამაკაცებს კანის მოვლის ახალ საშუალებებს შესთავაზებენ. ტანის ლოსიონისა და კანის სამკურნალო საშუალების მომხმარებელთა სიაში ქართველი მამაკაცებიც აღმოჩნდებიან. სპეციალისტების განცხადებით, მამაკაცებში ყოველთვის არსებობდა საკუთარი თავის მოვლის სურვილი, მაგრამ ძლიერი სქესის მოვლის ეს ტრადიცია მთელს მსოფლიოში მხოლოდ ათი წლის წინ დამკვიდრდა. მსოფლიოს ტალღამ საქართველოზეც გადაირა და ქართველი მამაკაცის მენტალური გარდატეხაც გამოიწვია. დღეს უკვე ქარველი მამაკაცების დიდი ნაწილისთვის სუნამოს, ტუალეტის წყლის, პარსვისა და გაპარსვის შემდგომი საშუალებების გარდა, უცხო უკვე აღარც აპაზანის გელის, დეზადორებისა და მშრალი სტიკების გამოყენებაა, თუმცა საქართველოში ჯერ კიდევ ძალიან მცირე რაოდენობით არიან ისეთი მამაკაცები, რომლებიც კანის მოვლის სხვა ისეთ საშუალებებსაც მიმართავენ, როგორიცაა სახის დამნამავი და თვალის გარშემო და სახის ნაოჭსაწინააღმდეგო კრემი. ასევე, მართალია ძალიან მცირეა, მაგრამ მაინც არის საქართველოში იმ მამაკაცთა კატეგორია, რომლებიც სილამაზის ცენტრში კოსმეტოლოგთანაც დაიარებიან.

სოფიკო ოხანაშვილი

პარფიუმერიის პირველი სა-დისტრიბუციო ქსელები (“ისი პარი” და “ვულე-ვუ”) საქართ-ველოში 1995 წელს გაიხსნა. ქსელების წარმომადგენლების თქმით, მაშინ არათუ მამაკაცებს, არამედ ქალთა უმრავლე-სობასაც კი, საბჭოთა კავშირის დროს წარმოებული სუნამოების გარდა, ახალ პარფიუმერულ პროდუქციაზე წარმოდგენაც კი არ ჰქონდათ. ამის მიუხედავად, “ისი პარი” და “ვულე-ვუ” ქალებს ყველა სახის პარფიუმერულ პროდუქციას სთვაზობდნენ. ხოლო რაც შეეხება მამაკაცის პარფიუმერიას, ქართულ ბაზარზე არასათანადო მოთხოვნილების გამო, შეზღუდუდლი რა-ოდენობით და ასორტიმენტით იყო წარმოდგენილი. თუმცა უკვე მაშინვე, სადისტრიბუციო ქსელები ქართველ მამაკაცს სუნამოების, ტუალეტის წყლების, პარსვის ქაფებისა და გაპარ-სვის შემდგომი ლოსიონების გა-რდა, ბევრ ისეთ საშუალებას სთავაზობდა, რომელიც ქარ-თული მენტალიტეტისთვის მი-უდებელი იყო და ამ საშუალებების გამოყენება არატრადიციული ორიენტაციის მამაკაცთან ასოცირდებოდა. სადისტრიბუ-ციო ქსელების მარკეტინგის მე-ნეჯერების თქმით, იმ დროს, მა-მაკაცები თავისთვის, ძირითად-ად, ტუალეტის წყალს და პარსვის შემდგომ ლოსიონს ყიდულო-ბდნენ. მამაკაცების ძალიან მცირე ნაწილი დეზადორანტსა-ც იყენებდა. მაშინ ჯერ კიდევ არ იყო მშრალი სტიკებისა და კრემდეზადორის, ასევე აბაზან-ის გელის გამოყენების პრაქტიკა. თუმცა, თანდათანობით, გა-რკვეული ფაქტორების გავლენ-



მამაკაცთა პაროფიუმერიაზე მოთხოვნილება იზრდება

ყველა ახალ პროდუქტს, ბალ-ზამსაც ქართველი მამაკაცი სი-ფრთხილით მოეკიდა, მაგრამ ამ ეტაპზე პარფიუმერიის ეს საშუალება უკვე პოპულარობით სარგებლობს.

ქართველი მამაკაცის სახით
შედარებით ნაკლები მომხმარე-
ბელი ჰყავს კანის მოვლის ისეთ
საშუალებებს, როგორიც არის
“ბიბლოს” თვალის გარშემო და
სახის ნაოჭსანინალმდევო კრე-
მი, ტანისა და სახის კრაპები,
რომლებიც მკვდარი უჯრედების
მოშორებისთვისაა განკუთვნი-
ლი. მამაკაცებს ზოგიერთი კომ-
პანია უკვე დღის კრემსაც სთა-
ვაზობს, რომელიც განკუთვნი-
ლია არა მარტო გაპარსვის შემ-
დეგი გამოყენებისთვის. ეს საშუ-
ალება არის კანის ჩვეულებრივი
დამნამავი კრემი, რომელიც სახ-
ეს კვებავს და არბილებს. ქართ-
ველი მამაკაცები ჯერჯერობით
ასეთი საშუალებების შეძენისგ-
ან თავს იკავებენ, მაგრამ ამ
პროდუქტს ქართულ ბაზარზეც
ჰყავს თავისი მომხმარებელი. მა-
მაკაცებისთვის ასეთი არატრა-
დიციული პარფიუმერული სა-
შუალებების გამოყენების ტრა-
დიცია მსოფლიოში უკვე ხუთი-
რვა, ხოლო საქართველოში სამი-
ოთხი წელია რაც დამკვიდრდა.

ମାର୍ତ୍ତାଲ୍ଲିବୁ, ଜୀଏର କ୍ଷିଦ୍ରେତ୍ର କାର-
ତ୍ଵସେଣ ମାମାକୁପି ମତେଣ ରୀଗ ପା-
ର୍ଯ୍ୟୋଜିତ୍ତମେର୍ଯ୍ୟାଳ ପରନ୍ଦୁକ୍ଷିତୀବୁ ଫିଲ୍ଡ
ଫି ସିନ୍ତରତବ୍ୟାଳିତ କ୍ଷିଦ୍ରେବୁ, ମାଗ-
ରାମ ଉକ୍ତେ ଶୈମିହିନ୍ଦ୍ରେବା ସାକ୍ଷାରତ୍ଵେ-
ଲ୍ଲିମ୍ବି ବିଲ ତ୍ରେନ୍ଦ୍ରେନ୍ଦ୍ରୀବୁ, ରନ୍ଧି ପାର-
ତ୍ତ୍ୟୁମେରିବୁ ମାର୍ତ୍ତିର କାଲିବୁ କ୍ଷିତିତ୍-
ବ୍ୟାଳିବୁ ବିଲାର ନାରମନ୍ଦାଫଗ୍ରେବୁ,
ଅରାମ୍ଭେ, କାନିବୁ ମନ୍ଦିରା ମାମାକୁପି-
ତ୍ତବ୍ୟାଳିବୁ ଅରାନାକ୍ଷିତ୍ରେ ସାକ୍ଷିରିବୁ.
ମାମାକୁପିବୁ, ରନ୍ଧିଲ୍ଲେବୁ ରାମଦ୍ଵେ-
ନିମ୍ବ ନିଲିବୁ ନିନ ଚାରକ୍ଷବ୍ରନ୍ଦିଲ୍ଲିବେବୁ-
ଅପ କି ଅର କ୍ଷିତେବ୍ଦନ୍ଦ୍ରେନ୍ଦ୍ରେ, ଦଲେବୁ କ୍ଷି-
ତ୍ତ୍ୟେ ପାରତ୍ତ୍ୟୋଜିତ୍ତମେର୍ଯ୍ୟାଳି ସିନ୍ତବ୍ୟାଳିବୁ
ଫାଇନ୍ତ୍ରେର୍ବେଲିନ୍ଦ୍ରେନ୍ଦ୍ରେ ଦା କାରଗାଦାତ୍ର
କ୍ଷିତିକ୍ଷେତ୍ରେବୁ ମିଶନ୍ତବ୍ୟାଳିବୁ ଦାଶାରିତ୍ରେ
ଅରସ୍ତେବୁ ପାରତ୍ତ୍ୟୋଜିତ୍ତମେର୍ଯ୍ୟାଳ ସିନ୍ତବ୍ୟ-
ଲିବେବୁ. ଉତ୍ତରି ମେତ୍ରିବୁ, ଦଲେବୁ କା-
ରତ୍ଵେଲ ମାମାକୁପିତା ଗାରକ୍ଷେତ୍ରେବୁ
ନାନିଲି ସିଲାମାଥିବୁ ସାଲିନ୍ଦିବେବୁ
ସିଲିମାତିଭୁରି ସତ୍ତ୍ଵମାରିବୁ. ମାତ-
ତ୍ତବ୍ୟାଳି ଉକ୍ତେ ହିତ୍ତବ୍ୟାଳି ସାକ୍ଷିମାନବ୍ୟାଳାବା
ତ୍ରିରହିବ୍ୟାଳିବୁ ମନ୍ଦିରା ଦା ଅରି ସା-

სის ნიღბის გაკეთებაა მათვილი უცხო. სპეიალისტების შეფასებით, არატრადიციული საშუალებების მომხმარებელ მამაკაცთა რიცხვი ჯერჯერობით შეძლებული ფენის ხუთ პროცენტი არ აღემატება, რაც მამაკაცთ საერთო რაოდენობის ერთ პროცენტზე გაცილებით ნაკლებია.

არის მთელი რიგი პარტიუ-
მერული საშუალებები, რომლის
გამოყენებაც თანაბრად შეუძ-
ლიათ, როგორც ქალებს, ასევე მამაკაცებს. რადგან პარტიუმე-
რის მწარმოებელ არცერთ ფი-
რმას დიფერენცირებული არ
აქვს, რომ ეს პროდუქტი განკუ-
თვნილია მხოლოდ ქალისთვის
ან მხოლოდ მამაკაცისთვის. ას-
ეთი საშუალებებს რიცხვში შე-
დის გასარუჯი და გარუჯვის შე-
მდგომ საშუალებები და ასევე
ხელის კრემი. ამიტომ ეს პრო-

საქართველოში გამოიკვეთა ისეთი ტენდენცია, რომ როგორც ქალები, ასევე მამაკაცები ტუალეტის წყალთან შედარებით უპირატესობას სუნამოებსა ანიჭებენ. განსხვავებული სიტუაციაა ევროპაში, სადაც სუნამოსთან შედარებით ტუალეტის წყალს უფრო მეტი მომხმარებელი ჰყავს. ქართულ ბაზარზე არსებულ ასეთ ტენდენციას იმით ხსნიან, რომ მომხმარებელთა უმრავლესობამ არ იცის ტუალეტის წყალსა და სუნამოს შორის არსებული განსხვავება და მათი დანიშნულება. ქართველ მამაკაცებში განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს ისთი ბესტსელერები, როგორიცაა “შანელი”, “ივ სენ ლორანის” სუნამოს “M7-ის” ტანის ლოსიონი, რომელიც ასევე მხოლოდ მამაკაცებისთვის იქნება განკუთვნილი. ამ პროდუქციის შეძენა ქართველ მომხმარებელს უკვე გაზაფხულზე შეეძლება, თუმცა სადისტრიბუციო ქსელების მარკეტინგის მენეჯერების ვარაუდით, ამ პროდუქციაზე თავდაპირველად არ იქნება დიდი მოთხოვნა. ამის მთავარ მიზეზად, ქართველი მამაკაცის მენტალიტეტის გარდა, იმასაც ასახელებენ, რომ ტანის ლოსიონების მოხმარების პრაქტიკა სათანადო დონეზე ქალებშიც კი არ დგას. თუმცა, მათი

მოგორი ვიყიდოთ კარგი საათი? ალბათ გააჩნია კარგ საათში რას ვგულისხმობთ. თუკი გვსურს გვერდეს ზუსტი, არც ისე ძეირი საათი, ამაზე ადვილი არაფერია. საკმარისი შვიდორვა დოლარის ექვივალენტის გადახვა და მაღაზიებში გასვლა. ამ ფასში თავისუფლად შეძენთ კვარცის საათს, რომელიც ცნობილია თავისი სიზუსტით. გარდა ამისა, კვარცებს დაქოქვა და მოვლა საერთოდ არ სჭირდება. ერთადერთ, როცა საათის გადახვა ხდება, მაშინ თუ იქცევს თავისი პატრონის ყურადღებას. მაგრამ თუკი ვინმეს შვიდორვა დოლარზე გაცილებით მეტის დახარჯვა და მართლაც კარგი და ძვირფასი, ცნობილი მარკის საათის შეძენა მოუწება, მან ერთი რამ უნდა უნიჭედოს: მართლაც კარგ საათს მხოლოდ საფირმო მაღაზიაში, ან ფირმის ოფიციალურ დილერთან თუ შეიძენს. მხოლოდ იქ არსებობს გარანტია, რომ შეძენილი საქონელი ნამდვილია და არა ნაყალბევი. მნარმალებელ ფირმასა და მაღაზიას შორის არსებული ოფიციალური ურთიერთობა მაღაზიის ვიტრინაზე უნდა იყოს ასახული, ანდა საათის რეალმაში, სადაც მითითებულია გაყიდვათა ადგილები. არსებობს კადევ ერთი ნიშანიც, რომლის მხედვითაც ნამდვილი საათი ყალბასგან უნდა გაარჩიო – ეს არის უფასო საერთაშორისო გარანტია, რომელიც მაღაზიაში უნდა გასცეს. კარგი საათი ხელით მზადება და მასზე კვირები, თვეები და ზოგჯერ ლამის ნლებიც მიდის. მათი უმრავლესობა შევიცარიაში მზადდება. ზოგიერთი საათი ნამდვილი შედევრია, ადა-

მიანური გენის გამობრნყინებაა და ასეთები ზლაპრული თანხაც ღირს. იმისათვის, რათა რაღაც წარმოდგენა შეგვექმნას შედევრებზე, საქმარისია მოკლე ექსკურსი ჩავატაროთ საათების სამყაროში.

ყველაზე ძველი საათი, რომელიც დღემდე შემორჩა, 1386 წელსა დამზადებული. იგი შეგიძლიათ სოლსბერის (ბრიტანეთი) ტაძარში ნახოთ. ეს უნიკალური ნივთი 1956 წელს იქნა რესტავრირებული. იმ დროისათვის მან 498 წელს შეუფერხებლად იმუშავა და დაახლოებით 500 მილიონჯერ “დაინიკნია.”

ყველაზე დიდი საათი ბოვეს (საფრანგეთი) წმინდა პეტრეს ტაძარში ინახება. იგი 1865-1868 წლებით თარიღდება და 90 ათასი ცალი დეტალისაგან შედგება. მისი სიმაღლე 12,1 მეტრია, სისქე 6,09 მეტრი, სიღრმე 2,7 მეტრი.

საათი “სუნ-სუნი” კი 1088-1092 წლებში იქნა დამზადებული ჩინეთში და 20 ტონიანი ბრინჯაოს სფეროთი იყო დამშვენებული, რომელშიც 1,5 ტონა ნყალი ისტმებოდა. საათი 1126 წელს გადაიტანეს პეკინში, სადაც 12 მეტრიან კოშკზე იქნა დაყინებული. ამ, გრანატიოზულმა მექანიზმა 1136 წლამდე იმუშავა.

ვაშინგტონში “ინტერნეშენალ სკვერის” ხუთსართულიან შენობაზე დაყინებულია 15/15/15 მეტრი გაბარიტების საათი, რომელიც კომპიუტერის მეშვეობით იმართება და წამის მეათასედების სიზუსტით დადის. საათის წონა ორი ტონაა, იგი 122 ცალი ნეონის მილიონ ნათებება, რომელთა დაყინებასაც 460 მეტრი კაბელი და სადენი დასჭირდა.

ყველაზე ზუსტად კი მიჩნე-

ულია კოპენჰაგენის რატუშაზე 1955 წელს დაყინებული საათი, რომელსაც “ოლსენს” უწოდებენ. იგი 10 წლის განმავლობაში მზადდებოდა და 14 ათასი ცალი დეტალი დასჭირდა. დეტალები 570 ცალ სხვადასხვა რეზიმში მუშაობენ. საათის ცდომილება 300 წელიწადში ნახევარი წამია.

პირველი მაჯის საათი დამზადდა შვეიცარიაში 1790 წელს ფირმა “უაკე დროზ ანდ ლეშოს” მიერ. ყველაზე დიდი მაჯის საათი ფირმა “უორჩმა” დაამზადა 1985 წელს და საბოლოოდ იგი მადრიდში, ბანკ “ბილბაოს” შენობაზე დაყინებდა, რადგან მაჯისათვის ერთობ დიდი აღმოჩნდა – დამეტრში 20 მეტრი.

ყველაზე მომცრო მაჯის საათი შვეიცარულმა ფირმა “უეგრ ლე კულტრმა” შექმნა. იგი სულ 15 ცალი ქვისაგან შედგება, შეიძგრამს ინონის, სიგრძეში 1,2 სანტიმეტრი, სიგანეში კი 0,47 სანტიმეტრია.

არსებობს ასტრონომიული მაჯის საათებიც. ამ მხრივ, უპირველესად ალსანიშნავია შვეიცარული “ულის ნარდენის” მიერ დამზადებული “კოსერნიკის პლანეტარიუმი,” რომელიც თარიღის გარდა აჩვენებს მთვარის ფაზას, მზისა და დედამინის ასტრონომიულ მდებარეობას და საერთოდ ყველაფერს, რაც კოპერნიკის დროს გახდა ცნობილი. საათი აჩვენებს “ასტროლოგიურ ასპექტებსაც” ნებისმიერი დროსათვის.


ყველაზე მაღალი ფასი მაჯის საათში უცნობმა პირმა გადაუხადა შვეიცარულ “პაპსბურგ ფელდმანს” 1989 წლის 9 აპრილს. 1728 ცალი დეტალისაგან შემდგარი “კალიბრ 89” 16.004.392 შვეიცარული ფრანგი დაჯდა.



მსოფლიოს ყველაზე ცნობილი საათი ლონდონის „ბიგ-ბენი“.



“კარტიე” - მსოფლიოში საათების ერთ-ერთი პრესტიული მნარმალებელი.



დიდ საათებსაც სჭირდება განმეოდა.